პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
12
სექტემბერი
1935 წ.
№ 213 (4369)

დღეს ნომერში

— პირველხარისხოვანი თესლი საშემოდგომო ხნულს (მეთაური).
— საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმი.
— ვილჰელმ პიკი — გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ნაბრძოლველად.
— შალვა აფხაიძე — ყვავილები მოკისკასე ბუნებაში.
— აგიტაცია და პროპაგანდა.
— ქირურგთა ა.-კ. მეორე ყრილობა.
— ყარა-კალპაკიის პოეტები ტფილისში.
— კიევში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის სამხედრო დელეგაცია
ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელნი მიესალმებიან საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვას.
— წინადადება აბისინიაზე კოლექტიურ მანდატის გაცემის შესახებ.
— პოლონეთის სეიმის არჩევნების მარცხი.

საინფორმაციო ცნობა

1935 წლის 10—11 სექტემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მეშვიდე მოწვევის III პლენუმი.

პლენუმმა განიხილა სამი საკითხი:

1. ტრესტ სტალინნავთის (ამხ. პეტერსონი) და ტრესტ აზიზბეკოვნავთის (ამხ. კუზმინი) მმართველთა მოხსენებანი ნავთის ამოღების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიწსახკომის (ამხ. ბუნიატ-ზადე) მოხსენება საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო თესვის კამპანიის ჩატარების ამოცანათა შესახებ.

3. საორგანიზაციო საკითხები:

პლენუმმა დაამტკიცა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრთა და კანდიდატთა შემდეგი შემადგენლობა:

ბიუროს წევრები: ამხ. ლ. ბერია, მ. დ. ბაგიროვი, ა. ხანჯიანი, გ. მუსაბეკოვი, ფ. მახარაძე, გ. მგალობლიშვილი, მუს. რახმანოვი, ხ. კუდრიავცევი, პ. აღნიაშვილი, ა. გულოიანი, ა. აგრბა

კანდიდატები: ამხ. ვ. ბაქრაძე, ა. ამატუნი, სტ. აკოფოვი, ნ. ლაკობა, გ. არუთინოვი, ს. გოგლიძე, მ. ლევანდოვსკი, ა. პეტერსონი.

პლენუმის დასასრულ ნავთისათვის ბრძოლაში, საშემოდგომო თესვის ჩატარებაში და პარტდოკუმენტების შემოწმების მუშაობაში ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა ამოცანების შესახებ დიდი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ბერია.

პლენუმის რეზოლუციები გამოქვეყნდება.

პირველხარისხოვანი თესლი საშემოდგომო ხნულს

თესლის ხარისხის უდიდესი მნიშვნელობა მოსავლიანობის გადიდებაზე უხსოვარ დროიდანვე არის ცნობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნამდვილი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობა თესლის ჯიშისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება, ძველად წვრილი, დაქუცმაცებული გლეხურ მეურნეობის პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე საერთო გეგმიანი ღონისძიებათა გატარება მეთესლეობის გაუმჯობესებისათვის, და არც არავინ ფიქრობდა ამაზე.

ახლა პარტია და ხელისუფლება უდიდეს თანხებს და სხვა სახის მატერიალურ საშუალებებს აბანდებენ მეთესლეობის განვითარებაზე. შემოღებულია სათესლე მასალის სავალდებულო გაწმენდა, შეწამვლა, მოწყობილია თესლის ხარისხის შემმოწმებელი ლაბორატორიები, სისტემატიურად ფართოვდება სელექციურ სადგურების ქსელი და წარმატებით ინერგება ჯიშიანი მეთესლეობა სამეცნიერო დაწესებულებათა, უშუალო ხელმძღვანელობით.

როგორც ყოველთვის, ისე წელსაც, პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მთელი სათესლე ფართობის ხარისხოვან თესლით უზრუნველყოფას. ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც თესლის ხარისხის სისტემატიური გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია მოსავლიანობის გადიდება.

საშემოდგომო თესვის შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილება ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს სათესლე მასალის შეგროვება, მის ხელმეორედ გაწმენდა, ხარისხის გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში გადაცვლა დაამთავრონ ათი დღით ადრე თესვის დაწყებამდე. ცკ-ი და სახკომსაბჭო ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს, ჩაატარონ ყველა სექტორში მთელი სათესლე მასალის სავალდებულო დახარისხება, აღმოცენების უნარის ლაბორატორიული შემოწმება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ეს ღონისძიებანი ვერ უზრუნველყოფენ თესლის საჭირო კონდიციურობას, მოაწყონ უვარგისი მარცვლეულის გადაცვლა კარგ ხარისხიანზე.

როგორ სრულდება ეს დირექტივები? არიან ამ საქმეში მოწინავეები და ჩამორჩენილებიც. სამწუხაროდ სათესლე მასალის მომზადებაში ჩამორჩენილ რაიონების რიცხვი გაცილებით მეტია, ვინემ მოწინავეების და ეს ქმნის საშემოდგომო თესვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიების (თესლის მომზადება) ჩაშლის რეალურ საფრთხეს.

რესპუბლიკის მაღლობ რაიონებში მეორე კვირაა თესვა დაიწყო. სათესლე მასალის შეგროვება კი აქამდე არ არის დამთავრებული: საქართველოს მიწსახკომმა დღემდე არ იცის თესლის შეგროვების მხრივ რა მდგომარეობაა ახალ-ქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ტოლოშის, ყარაიას, ბორჩალოს ლუქსემბურგის, წალკისა და თიანეთის რაიონებში.

აბულაღის რაიონს სათესლე მასალა 10 ათას ცენტნერზე მეტი რაოდენობით ყოველმხრივ მზად უნდა ქონოდა 1 სექტემბრისათვის, ფაქტიურად 5 სექტემბერს იქ შეგროვილი ქონდათ მხოლოდ 240 ცენტნერი თესლი. კასპის რაიონმა უნდა გამოყოს 7.474 ცენტნერი სათესლე, გამოყოფილია კი 713 ცენტნერი და ეს მაშინ, როდესაც აქ თესვა უნდა გაჩაღდეს 15 სექტემბრიდან.

თესლის შეგროვებაში ასეთი სერიოზული ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ამ საქმეს რაიონული კომიტეტები და რაიაღმასკომები არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას. სწორედ საქმისადმი არა სერიოზული მიდგომა იწვევს იმას, რომ ბაშკიჩეთის რაიონში უკვე შეუდგნენ შეუწამლავი და უკონდიციო თესლით თესვას. დუშეთის, ყარაიას და თიანეთის რაიონები თესლის შეწამვლის დავიწყებას შხამის უქონლობით ხსნიან, ფაქტიურად კი ამ რაიონებს კარგა ხანია შხამები გადაეგზავნათ, მაგრამ ის გამოსყიდული და მოხმარებული არ არის.

აშკარად უნდა ითქვას, რომ სათესლე მასალის გაწმენდისა და ხარისხის შემოწმებაში შარშან გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ვინემ წელს, მარტო ის ფაქტი, რომ უკვე შეგროვილ 110 ათას ცენტნერ თესლეულიდან გაწმენდილია მხოლოდ 48 ათასი ცენტნერი, მოწმობს დიდ ჩამორჩენას. მიუმატეთ ამას კიდევ უფრო სუსტი მუშაობა თესლის აღმოცენების უნარიანობის შემოწმების საქმეში და ნათელი გახდება მეტად დამაფიქრებელი მდგომარეობა სათესლე მასალის მომზადების მხრივ.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაჭიანურებულ გვალვების არახელსაყრელ გავლენას მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობაზე თითოეულ რაიონში, საერთოდ, თავთავიანების მოსავალი წელს არ იყო ცუდი. ამას სხვათა შორის ამტკიცებს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკამ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შეასრულა ვადამდე და კარგი ხარისხით.

მაშ რა უშლის ხელს სათესლე მასალის დროულად შეგროვებასა და მომზადებას? ცხადია არაფერი, გარდა ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მუშაკების მოუქნელი, უსულგულო დამოკიდებულებისა საქმისადმი. თუ კახეთის რაიონებმა ვადამდე გაანაღდეს თესლის მომარაგების დავალება, ცხადია ეს შესაძლებელი იყო ქართლში და რესპუბლიკის ყველა მაღლობ რაიონებშიც, რომლებიც თესენ საშემოდგომო მარცვლეულს.

მასობრივი თესვის ვადა კარზეა მომდგარი, საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება იმისათვის, რომ ჩამორჩენა თესლის შეგროვებასა და გაწმენდა - შეწამვლაში დაუყონებლივ აღმოიფხვრას. ეს მოითხოვს თესლის ორგანიზაციის საქმეზე ყურადღების გამახვილებას, თესლის გასაწმენდი ინვენტარის მთლიანი დატვირთვით გამოყენებას, თესლის შემმოწმებელი ლაბორატორიების მუშაობის გაჯანსაღებას და პერსონალური პასუხისმგებლობის დაწესებას თესლის ნორმებისა და ხარისხის დაცვის საქმეზე.

მომავალ წელ საშემოდგომო ნათესების მინდვრებიდან უხვი მოსავლის მიღების საკითხი ახლა წყდება. ხარისხოვანი თესლის მომარაგება არის ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის ძირითადი პირობა. ეს უნდა დაიმახსოვრონ ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და მიიღონ გადამჭრელი ზომა, რათა შემოდგომაზე დასათესი ყველა ფართობი უზრუნველყოფილი იქნეს ხარისხოვანი, გაწმენდილი, შეწამლული, შემოწმებული თესლით.

საფრანგეთის პრესა პოლონეთის სეიმის არჩევნების შესახებ

პარიზი, 10 სექტემბერი. საფრანგეთის პრესა გაცხოველებით მსჯელობს პოლონეთის არჩევნების შედეგებზე. ის ფაქტი, რომ ამომრჩეველთა უდიდესმა რაოდენობამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, საფრანგეთის გაზეთების აზრით, მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დამარცხების დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს.

„რეპუბლიკი" სწერს:

„ვარშავაში სცდილობენ მიჩქმალონ ამ მარცხის მნიშვნელობა და აცხადებენ, რომ ეს მხოლოდ ახალ საარჩევნო კანონს ეხება. ნამდვილად კი მთავრობის ბლოკის მთელი პოლიტიკა საქვეყნოდ იქნა დაგმობილი".

„პოლონეთის ხალხმა, — სწერს „ეპოკი", — ოფიციალური ზეგავლენის მიუხედავად, არჩევნებს ფართო ბოიკოტით უპასუხა. და რამდენადაც ოპოზიციური პარტიები მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს — თავი შეეკავებინათ კენჭისყრაში მონაწილეობისაგან, ეს გარემოება მათ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს". „პილსუდსკელთა ყველა ჯგუფის, — განაგრძობს გაზეთი,—და მეტადრე ბეკის პოზიცია, შეირყა. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის საგარეო პოლიტიკისათვის, ვინაიდან უეჭველია, ქვეყნის უმრავლესობამ არ მოიწონა მისი გაფრთხილებელი კავშირი გერმანიასთან, რაც პოლონეთის მთავრობის მთავარ იდეას წარმოადგენს. (ადს).

წინადადება აბისინიაზე კოლექტიურ მანდატის გაცემის შესახებ

ლონდონი, 10 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური მიმომხილველი აღნიშნავს, რომ, თუ ინგლისმა მოითხოვა იტალიის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება, საფრანგეთი მას სრულ დახმარებას გაუწევს.

„ახლა,— სწერს კორესპონდენტი,—ლავალიც კი დარწმუნდა, რომ მოქმედების სხვა გზა შეუძლებელია".

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჟენევაში პესიმისტურად აფასებენ იტალია-აბისინიის კონფლიქტის საკითხზე „ხუთის კომიტეტის" მუშაობის პერსპექტივებს. როგორც მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, იმ დროს, როცა აბისინია დასთანხმდა არ დაიწყოს მტრული მოქმედება მოლაპარაკების დამთავრებამდე, იტალიამ მხოლოდ სიტყვიერად დაადასტურა, რომ ეს თხოვნა მას აცნობეს.

როგორც „ექსჩეინჯ ტელეგრაფის" სააგენტოს ჟენევიდან ატყობინებენ, ალოიზიმ კატეგორიულად უარჰყო „ხუთის კომიტეტის" თავმჯდომარის მადარიაგას ასეთი თხოვნა.

„ტაიმსის" ჟენეველი კორესპონდენტის ცნობებით, ინგლისის დელეგაციამ მოითხოვა, რომ ერთა ლიგამ გასცეს აბისინიაზე კოლექტიური მანდატი. ამ მანდატის ხასიათი ჯერ არავინ იცის. ინგლისი ალბათ დაჟინებით მოითხოვს, რომ აბისინია ნებაყოფლობით დაეთანხმოს ამ წინადადებას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ არსებული ცნობების თანახმად, ეს საერთაშორისო მანდატი „მკაცრი" იქნება და მეტად შეზღუდავს იმპერატორის სუვერენიტეტს.

„მანჩესტერ გარდიანის" ჟენეველი კორესპონდენტი ადასტურებს „ტაიმსის" ცნობას, რომ ინგლისმა სთხოვა ლიგას გასცეს აბისინიაზე დასაწესებლად საერთაშორისო მანდატი.

როგორც „მანჩესტერ გარდიანის" კორესპონდენტი აღნიშნავს, შვეციის დელეგატმა უნდენმა მადარიაგას აცნობა, რომ სკანდინავიის ქვეყნები დაჟინებით მოითხოვენ ერთა ლიგის წესდების სანქციების გამოყენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეიძლება ერთა ლიგიდან გავიდნენ.

როგორც „დეილი ტელეგრაფის" რომაელი კორესპონდენტი [illegible] ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად იუწყება, იტალიის წრეებში სერიოზულად იხილავენ ერთა ლიგიდან იტალიის გამოსვლის საკითხს, და ამას აკავშირებენ იმ გადაწყვეტილებასთან, რომელსაც ლიგა აბისინიის საკითხზე გამოიტანს (ადს).

იტალიის მთავრობის წარმომადგენლის განცხადება

ლონდონი, 10 სექტემბერი. „დეილი ექსპრესის" რომაელი კორესპონდენტის გადმოცემით, იტალიის მთავრობის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს განაცხადა შემდეგი:

„ჩვენი ჯარები მზად არიან დაიწყონ ოპერაციები, როგორც კი წვიმების სეზონი გათავდება, მიუხედავად იმისა, თანახმა იქნება თუ არა ერთა ლიგა. აბისინია კიდევაც რომ დაეთანხმოს — ერთა ლიგის დახმარებით ჩვენთვის ყველაზე მეტად ხელსაყრელ პირობებს, ჩვენ მაინც იძულებული ვიქნებით დავიკავოთ აბისინიის ტერიტორია. არავითარი შეთანხმება არ იქნება დამაკმაყოფილებელი ისე, თუ სამხედრო ოკუპაციას არ მივმართეთ. ჩვენ გავგზავნით ჯარს აბისინიაში, როგორც კი ამას შევძლებთ და ვერც ვერავინ შეგვაჩერებს" (ადს).

—oo—

საომარი მოქმედების დაწყებას 24 სექტემბერს მოელიან

ბერლინი, 10 სექტემბერი. გერმანიის საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტი ადის-აბებიდან იუწყება, რომ არუსის პროვინციის გუბერნატორმა მიიღო ბრძანება სათავეში ჩაუდგეს 25 ათას მხედარს (რომელთა უმრავლესობა გალას ტომს ეკუთვნის), რათა წინასწარ დაიკავოს თავდაცვისათვის საჭირო პოზიციები. ამგვარად, აბისინიის საბრძოლო ძალები დაბანაკებული იქნებიან საზღვრიდან დაახლოებით 30 კილომეტრის მანძილზე. ოგადენამდე მისვლას დაახლოებით 10 დღე დასჭირდება. შემდეგ იგივე კორესპონდენტი იუწყება, რომ მთლიანად დასტურდება ცნობები ერიტრეის საზღვარზე იტალიის ჯარების კონცენტრაციის შესახებ. იტალიის ქვეითი ნაწილები, შავხელათიანები, ტანკები და მოტორიზებული ნაწილები ასმარიდან მიიწევენ აკელე-გუზაის (ერიტრეა), ბარაკილის და ადი-კვალას რაიონებში (აბისინიის საზღვრის მახლობლად). „ბერლინერ ტაგებლატის" საკუთარი კორესპონდენტი ადის-აბებიდან დეპეშით იუწყება, რომ იქ იტალიელების მხრივ საომარი მოქმედების დაწყებას 24 სექტემბერს მოელიან (ადს)

—oo—

გერმანიის აეროსტატები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე

ბერლინი, 10 სექტემბერი. („იზვესტიას" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჩეხო-სლოვაკიაში, პრაღის მახლობლად, აეროსტატი შენიშნეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს იყო გერმანიის აეროსტატი „ჰანოვერი", რომლის ეკიპაჟი სამი კაცისაგან შესდგებოდა. ცოტა ხანს შემდეგ ნიმბურგსა და პოდებრადეს შუა შეამჩნიეს კიდევ ორი აეროსტატი — „დენემარკი" და „ოსტმარკი", რომლებიც აგრეთვე გერმანიის აღმოჩნდა.

ჩეხო-სლოვაკიის ავიაციამ აიძულა ყველა აეროსტატი დაშვებულიყვნენ. გამოირკვა, რომ გერმანელ ავიატორებს არ ჰქონიათ ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლების ნებართვა საზღვარზე გადაფრენის შესახებ. ინციდენტი განსახილველად გადაეცა ჩეხო-სლოვაკიის სათანადო მინისტრებს (ადს).

●●●

ერთა ლიგის პლენუმი

ჟენევა, 10 სექტემბერი. დღეს ლიგის პლენუმის სხდომები არ შემდგარა. ხვალ დაიწყება დისკუსია ერთა ლიგის გენერალური მდივნის მოხსენების გამო. ამ დისკუსიის ჩარჩოების სიფართოვის გამო, მას ჩვეულებრივ იყენებენ საერთაშორისო ცხოვრების ძირითად საკითხებზე მნიშვნელოვანი გამოსვლებისათვის. ხვალ მოელიან ხორის გამოსვლას, იგი ალბათ იტალია-აბისინიის კონფლიქტს შეეხება. (ადს).

●●●

„ხუთის კომიტეტის" სხდომა

ჟენევა, 10 სექტემბერი. დღეს, ნაშუადღევს, „ხუთის კომიტეტს" ისევ ჰქონდა სხდომა. როგორც იუწყებიან, კომიტეტის თავმჯდომარემ მადარიაგამ აცნობა კომიტეტს, რომ იგი შეეცადა დაეყოლიებინა იტალიელები ეთანამშრომლათ კომიტეტთან. ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. ამგვარად, სულ უფრო-და-უფრო საგრძნობი ხდება იტალიისა და ერთა ლიგის საბჭოს შორის ურთიერთობის გაწყვეტის საფრთხე.

საფრანგეთის წარმომადგენელს ლავალს და ინგლისის წარმომადგენლებს ხორსა და იდენს დღეს ორჯერ ჰქონდათ თათბირი. „ხუთის კომიტეტი" ხელახლა მხოლოდ 13 სექტემბერს შეიკრიბება. ხვალ და ზეგ იმუშავებს მხოლოდ ქვეკომისია, რომელიც გამოჰყო კომიტეტმა იმ ბრალდებათა გასარჩევად, რომლებსაც იტალია და აბისინია ერთმანეთს უყენებენ. (ადს).

აბისინიის ნეგუსის გადაწყვეტილება

ლონდონი, 10 სექტემბერი. როგორც „დეილი ტელეგრაფის" ადის-აბებელი სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, ნეგუსმა, ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გადასწყვიტა უარჰყოს მისთვის დღემდე მიცემული ყველა წინადადება, მათ შორის წინადადება სამთა მანდატის შესახებაც, რომელიც აბისინიისათვის ისეთსავე მდგომარეობას აწესებს, როგორიც გათვალისწინებულია ირაქისათვის ინგლის-ირაქის ხელშეკრულებით; ნეგუსმა აგრეთვე უარჰყო წინადადება აბისინიაში საერთაშორისო პოლიციის შექმნის შესახებ. გაზეთის სიტყვით, ნეგუსი იმის წინააღმდეგია, რომ რომელიმე სახელმწიფოს აბისინიაში პრივილეგირებული მდგომარეობა მიეცეს. თუ ომი დაიწყო, და აბისინიელებმა განდევნეს იტალიელები, აბისინიის მთავრობა არ ფიქრობს წაიწიოს წინ ერიტრეაში ან იტალიის სომალში.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ასმარიდან (ერიტრეა) სამხრეთისაკენ გაიგზავნა იტალიის 10 ათასი ჯარის კაცი, რომლებმაც დაიკავეს პოზიციები 64 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე.

„მორნინგ პოსტის" ასმარელი სპეციალური კორესპონდენტის გადმოცემით, იტალიის ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ საომარი მოქმედება ამ თვეში დაიწყება. (ადს).

—oo—

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ამხ. ლიტვინოვთან

ჟენევა, 10 სექტემბერი. დღეს ამხ. ლიტვინოვი ინახულეს ერთა ლიგის პლენუმის თავმჯდომარემ ბენეშმა და რუმინეთის საგარეო საქმეთა სტატს მდივანმა რადულესკუმ, რომელიც პლენუმზე რუმინეთის დელეგაციას მეთაურობს (ადს).

—oo—

გერმანია ახალ წყალქვეშა ნავებს აშენებს

ლონდონი, 9 სექტემბერი. „დეილი ექსპრესის" გადმოცემით, ბრიტანეთის საზღვაო სამინისტროში შეშფოთება გამოიწვია მიღებულმა ინფორმაციამ, რომ გერმანიაში ოთხ ახალ წყალქვეშა ნავს აშენებენ. გერმანიის იმ წყალქვეშა ნავების წყალწყვა, რომლებსაც ახლა აშენებენ, 750 ტონას უდრის. მათი მოქმედების რადიუსი— 8.200 საზღვაო მილით განისაზღვრება. (საზღვაო მილი—1,8 კილომეტრი). ამ ნავებს შეუძლიათ ჩაიყურყუმალონ წყალში 100 მეტრზე მეტ სიღრმეზე. ახალი წყალქვეშა ნავების სისწრაფე 50 პროცენტით დიდდება. ნაღმები, რომლებსაც ახალი წყალქვეშა ნავები გამოუშვებენ, 15 პროცენტით ალებადი მასალისაგან შესდგება. ფიქრობენ, რომ ერთ ასეთ ნაღმს, თუ იგი მიზანში მოხვდა, შეუძლია ცეცხლი გაუჩინოს გემს. (ადს).

—oo—

სენატორი ლონგი გარდაიცვალა

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. როგორც ბატონ-რუჟიდან (ლუიზიანის შტატი) იუწყებიან, გარდაიცვალა სენატორი ლონგი, რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინათ თავს დაესხნენ და დასჭრეს. (ადს).

ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელნი მიესალმებიან საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვას

მარგეიტი, 10 სექტემბერი. ინგლისის პროფმოძრაობის მთელმა რიგმა ცნობილმა ხელმძღვანელებმა შეკითხვაზე — როგორ უყურებენ პირადად ისინი საკავშირო პროფსაბჭოს დეპეშას, — შემდეგი განცხადებები გადასცეს საბჭოთა პრესისათვის:

გენერალურ საბჭოს წევრმა, რკინიგზის მემანქანეთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ბრომლეიმ:

„სსრ კავშირის პროფკავშირთა დეპეშას ახლა ორი მხრით უნდა მივესალმოთ. იგი ამტკიცებს, რომ არსებობს ურთიერთი ინტერესთა ნათელი გაგება და რომ საბჭოთა კავშირი სცნობს შეიძლება დადგეს ისეთი დღე, როცა ჩვენი ორი ხალხი (შესაძლოა შეერთებულ შტატებთან ერთად) ერთად უნდა გამოვიდეს ფაშიზმის წინააღმდეგ საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად".

რკინიგზელთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა და გენერალურ საბჭოს წევრმა მარჩბენკმა:

„საბჭოთა კავშირის პროფკავშირებისაგან მიღებული დეპეშა — მრავლის აღმთქმელი ნიშანია. იგი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ერთიანობას ყველა ქვეყნის მუშათა შორის."

მაღაროელთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, გენერალურ საბჭოს წევრმა ლოუტერმა:

„საბჭოთა პროფკავშირების მისალმება და ჩვენი მე-67 ყრილობის საპასუხო მიმართვა მოწმობენ, რომ, ბოლოს, არსებობს ნიშნები შესაძლო საერთო ბაზისა — გავიგოთ ჩვენი პრობლემები და შევიმუშაოთ ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო პოლიტიკა".

სამხრეთ-უელსის მაღაროელთა ფედერაციის თავმჯდომარემ გრიფიტსმა:

„გულწრფელად გიპასუხებთ. დეპეშას მივესალმები და იმედი მაქვს, ფაშისტური და სამხედრო კრიზისს პროლეტარიატი უფრო მჭიდრო ურთიერთობით გაერთიანებული შეხვდება".

სავაჭრო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ჯადერმა:

„მივესალმები ამ დეპეშას და სერიოზულად ვიმედოვნებ, რომ მას მოჰყვება პროფკავშირთა ამ ორ სკოლას შორის დელეგაციების ურთიერთ გაცვლა. საბჭოთა პროფკავშირების გრანდიოზული მუშაობის გამოსაკვლევად ინგლისიდან დელეგაციის გაგზავნის შემდეგ, თავისი მნიშვნელობით შემდგომ დიდ ნაბიჯს წარმოადგენს რუსი ამხანაგების მოწვევა ლონდონში ჩვენს ამოცანებთან გასაცნობად. ჩვენი ორი მოძრაობა ხელს უფრო-და-უფრო მეტად თანამშრომლებს ქვეყანაში და უფრო წინსვლა სხვა ასპარეზზე თანამშრომლობისაკენ ყოველნაირად წახალისების ღირსია".

მშენებელ მუშათა ლონდონელმა ორგანიზატორმა ადამსმა:

„საბჭოთა კავშირის პროფკავშირებისაგან მიღებული დეპეშის წაკითხვას ყრილობა ენტუზიაზმით შეხვდა. ეს საუცხოვო აზრი მსოფლიო პროლეტარული ერთიანობის სასარგებლოდ შეფასებულ იქნა გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე ეს ჩანდა იმ დისკუსიიდან, რაც ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესახებ გაიმართა. ის გარემოება, რომ ჩემს წინადადებას, რის შეტანითაც მე ვამაყობ, ამ დეპეშის საპასუხოდ ჩვენი ძმური სალამის გაგზავნის შესახებ, ყრილობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი, წარმოადგენს იმ თანაგრძნობის სიღრმის დამამტკიცებელ საბუთს, რომლითაც ეკიდებიან დელეგატები მსოფლიო პროლეტარულ ერთიანობას".

კანტორების მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურმა მდივანმა და გენერალურ საბჭოს წევრმა ელვინმა:

„მე უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მთელი მსოფლიოს მუშები გაერთიანდნენ ფაშიზმის და რეაქციის ყველა ძალის წინააღმდეგ. ჩემი წინადადებაა საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა მიმართონ პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციას და სცადონ, თუ ეს შესაძლებელია დაუახლოვონ ერთმანეთს ორივე ინტერნაციონალი".

მანქანათმშენებელთა კავშირის თავმჯდომარემ ლიტლმა:

„მე ძალიან გამახარა საბჭოთა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს მისალმებამ და გულწრფელად ვფიქრობ, რომ ასეთი მეგობრული ურთიერთობა მომავალში ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მუშათა კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოებას".

მექვაბეთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა, გენერალურ საბჭოს წევრმა ხილმა:

„მე და ყრილობის ყველა დელეგატმა კმაყოფილებით მოვისმინეთ საბჭოთა პროფკავშირების მისალმებითი დეპეშა. დარწმუნებული ვარ, ასეთი მიმართვა ხელს შეუწყობს ჩვენს საერთო მიზნის — ფაშიზმის დამხობისა და საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარების — მიღწევას. ჩემი წინადადება, ახლო მომავალში მოეწყოს პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის და პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის წარმომადგენელთა საერთო სხდომა, ამასთან არც ერთი და არც მეორე მხრიდან კონფერენციის საფუძვლად არავითარი წინასწარი პირობა არ წამოყენებით". (ადს)

პოლონეთის სეიმის არჩევნების მარცხი

ვარშავა, 10 სექტემბერი. მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთები ბეჭდავენ პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობებს არჩევნების შედეგების შესახებ,— ამასთან ყოველნაირად სცდილობენ შეარბილონ ის შთაბეჭდილება, რომელიც არჩევნების მასობრივმა ბოიკოტმა მოახდინა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ არჩევნების ასეთ შედეგებს ხსნიან ცუდი ამინდით, ოპოზიციური პარტიების აგიტაციით ბოიკოტის სასარგებლოდ და იმით, რომ ხმისმიმცემთა რიცხვი აღემატება იმ ხმების რიცხვს, რომლებიც 1930 წლის არჩევნებზე მთავრობის ბლოკმა მიიღო, ისინი მაინც არ ფარავენ თავის პესიმიზმს.

კონსერვატიული „ჩასი" სწერს:

„ჩვენ სრულიად არა გვაქვს განზრახვა დავმალოთ, რომ არჩევნებში სუსტი მონაწილეობა უაღრესად არახელსაყრელ მოვლენად მოგვაჩნია".

ოპოზიციური გაზეთები, ათავსებენ რა პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობებს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, ყურადღებას აქცევენ მთელ რიგ დამახასიათებელ გარემოებებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს ცნობებიც აშკარად გაზვიადებულია.

„ვარშავსკი ძენიკ ნაროდოვი" აღნიშნავს წინააღმდეგობებს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობებსა და იმ ცნობებს შორის, რომლებიც გუშინ გამოაქვეყნა მთავრობასთან ახლო მდგომმა გაზეთმა „დობრი ვიეჩურმა".

ზემო-სილეზიის გაზეთი „პოლონიას" მოჰყავს იმ რეზოლუციის ტექსტი, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა სეიმის არჩევნების გამო. რეზოლუცია აღნიშნავს „მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო მონაწილეობას არჩევნებში რაც იმას მოწმობს, რომ პოლონეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჰგმობს მთავრობის ბლოკის პოლიტიკას". რეზოლუცია მოითხოვს მთავრობის გადადგომას და ახალი „პატიოსანი" არჩევნების ჩატარებას შეცვლილი საარჩევნო კანონის საფუძველზე (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხანაგ სტალინის გადასახლების ადგილზე

იგარკა, 10 სექტემბერი. („პრავდის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

8 სექტემბერს გემი „რუძუტაკი" გადმოსატვირთად გაჩერდა კურეიკაში — ამხანაგ სტალინის გადასახლების ადგილას, სადაც იგი დიდხანს ცხოვრობდა. ო. ი. შმიდტი და მისი თანამგზავრები, რომლებმაც გემის გაჩერებით ისარგებლეს, ავიდნენ ენისეის მაღალ ნაპირზე. ადგილობრივმა მოხუცებმა სიამოვნებით წაგვიყვანეს ძელურ ქოხისაკენ, სადაც ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა. ქოხი სდგას მდინარის ციცაბო ნაპირზე.

ბევრ იქაურ მოხუცს კარგად ახსოვს ამხანაგი სტალინი, მათ გვიამბეს, თუ როგორ გამუდმებით მუშაობდა იგი წიგნებზე, როგორ იღებდა მონაწილეობას თევზის ჭერასა და ნადირობაში. ისინი სიყვარულით იგონებდნენ მის უბრალოებას, მეთევზეებთან სიახლოვეს, მათი ცხოვრების ცოდნას.

ძელური ქოხი საკმაოდ მოძველებულია. სამხარეო კომიტეტმა გადასწყვიტა ააგოს ახალი ძელური კოლოფი იმ სახლის შესანახად, რომელშიაც ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა.

ი. ბაევსკი.

კიევში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო დელეგაცია

კიევი, 10 სექტემბერი. დღეს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო დელეგაცია, რომელიც დაესწრება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების ტაქტიკურ მეცადინეობას. დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კრეიჩი. დელეგაციაში აგრეთვე შედიან ბრიგადის გენერლები გუსარეკი, ფიალა და შარა, პოდპოლკოვნიკი პრხაბკა, პოლკოვნიკი დრგაჩი, პოლკოვნიკი ვიხორეკი, სამხედრო ატაშე საბჭოთა კავშირში პოდპოლკოვნიკი დასტიხი და სხვა ოფიცრები.

დელეგაციას თან ახლავს საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშე პრაღაში ამხ. ემელიანოვ—სუროკი. საბჭოთა კავშირის საზღვარზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი ამხ. გეკერი, კიევის სამხედრო ოლქის შტაბის წარმომადგენელი ამხ. ვარკევიჩი, რომლებმაც იგი კიევამდე მოაცილეს.

კიევის სადგურზე ჩეხოსლოვაკიის სამხედრო დელეგაციას შეხვდნენ კიევის სამხედრო ოლქის წარმომადგენლები, პრესის წარმომადგენლები და სხვ.

როდესაც ჩამოდგა მატარებელი, რომლითაც ჩეხოსლოვაკიის სამხედრო დელეგაციის წევრები ჩამოვიდნენ, მუსიკამ შეასრულა ჩეხოსლოვაკიის ჰიმნი და „ინტერნაციონალი". გენერალმა კრეიჩიმ მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი.

საღამოს კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილემ ამხ. ფედკომ დელეგაციის პატივსაცემად გამართა ბანკეტი (ადს).

ახალი რეკორდი დონბასში

სტალინო, 11 სექტემბერი. „კონდრატიევკა 8" მაღაროს (არტემუგოლი) ფრიადოსანმა მჭრეველმა იზოჩენკომ 10 სექტემბერს მეორე ცვლაში დაამყარა სანგრევით ქვანახშირის ამოღების ახალი რეკორდი. 6 საათის მუშაობის დროს ამხ. იზოჩენკომ „კუცის" ფენაზე ჩამოანგრია 201 ტონა ქვანახშირი.

გაზეთ „სოციალისტიჩესკოე დონბასის" რედაქცია.

მარსელ ტილის გამოსვლა

მოსკოვი, 10 სექტემბერი. 10 სექტემბერს კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკის მწვანე თეატრში შესდგა კრივის დარგში საშუალო წონის მსოფლიო ჩემპიონის მარსელ ტილის საჩვენებელი გამოსვლა. ტილი შეხვდა საბჭოთა საუკეთესო მოკრივეებს — მიხაილოვს და სტეპანოვს.

მარსელ ტილის გამოსვლას 20 ათასი მაყურებელი გულთბილად შეხვდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ნახევრადმძიმე წონაში ვიქტორ მიხაილოვმა მისალმების ნიშნად გადასცა მას ყვავილების დიდი თაიგული.

შეხვედრამ ცხადჰყო, რომ მსოფლიო ჩემპიონს მოეპოვება მაღალი ტექნიკა და რომ მან საუცხოვოდ იცის კრივი და რინგზე თავის დაჭერა (ადს).

ველო-გადარბენის მონაწილენი ამხ. ეიდემანთან

მოსკოვი, 10 სექტემბერი. ამხ. ეიდემანმა მიიღო სვერდლოვსკის სამთო ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტები — კუზნეცოვი, დერიაგინი, კანუპინი, ჟურავლიოვი, ტერენტიევი, დესიატოვი, ბონდაროვი და პერელიაევი რომლებიც [illegible] ველოგადარბენას მარშრუტით: სვერდლოვსკი—მოსკოვი—სვერდლოვსკი.

საუბრის დასასრულ, ამხ. ეიდემანმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გრანდიოზული გადარბენის ყოველმა მონაწილემ თვალნათლივ დაგვანახვა საბჭოთა ადამიანის ნებისყოფა, ძალა და სიმამაცე და დაამტკიცა, რომ ჩვენს ქვეყანაში გმირობა ერთეულთა საქმე აღარ არის, არამედ მასების საქმედ იქცა.

ველოგადარბენის ყველა მონაწილე თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ საპატიო იარაღით დააჯილდოვა (ადს).

საარჩევნო კომისიათა სადგომების დარბევა პოლონეთში

ვარშავა, 9 სექტემბერი. პოლონეთის სააგენტოს გადმოცემით, გუშინ კოლოვესში (ვარშავის სავოევოდოს სკვერნევიცკის მაზრა) 30 ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა საარჩევნო კომისიის სადგომს. ჯგუფმა თავდასხმამდე გადასჭრა ტელეფონის მავთულები. დააპატიმრეს თავდასხმის 15 მონაწილე. ერთი დაპატიმრებული, რომელმაც გაქცევა სცადა, პოლიციელებმა მოჰკლეს. სერნოვიცაში პოლიციამ გაფანტა 60 ნაციონალ-დემოკრატისაგან შემდგარი ჯგუფი, როცა იგი საარჩევნო კომისიის სადგომის დარბევას აპირებდა.

პოზნანის სავოევოდოს ვიქტოროვეკის რაიონში შეიარაღებულ ნაციონალ-დემოკრატთა ჯგუფმა დაარბია საარჩევნო კომისიის სადგომი და მისპო დოკუმენტები. პოლიციას, რომელიც შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა, თავდამსხმელებმა რევოლვერის სროლა აუტეხეს; ორი კაცი დაიჭრა. დაპატიმრებულია თავდასხმის 15 მონაწილე. დაპატიმრებულთა დასახმარებლად მოვიდა მეორე ჯგუფი, რომელმაც იერიში მიიტანა პოლიციაზე. სროლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა ორი თავდამსხმელი, რომლებიც საავადმყოფოში გარდაიცვალნენ. პოზნანის სავოევოდოს სხვა ადგილებიდანაც მოდის ცნობები, რომ იქ არბევენ საარჩევნო კომისიების სადგომებს, სპობენ საარჩევნო დოკუმენტებსა და ყუთებს.

„გაზეტა პოლსკა" ლოძიდან იუწყება, რომ იქ კომუნისტებმა და გლეხთა პარტიამ, აგრეთვე ნაციონალ-დემოკრატებმა კამპანია გააჩაღეს არჩევნების წინააღმდეგ. გაზეთის სიტყვით, კომუნისტებმა ტრამვაის მავთულებზე გამოჰკიდეს წითელი პლაკატები საარჩევნო კანონის საწინააღმდეგო ლოზუნგებით ანტიფაშისტთა განთავისუფლების მოთხოვნით. (ადს).

ბლომბერგი გერინგის წინააღმდეგ

პრაღა, 10 სექტემბერი. („იზვესტიას" საკ. კორ.) პრაღის ოფიციოზის „პრაგერ პრესსის" ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერინგი არ დასწრებია გერმანიის ერთერთი კორპუსის მანევრებს, რომლებიც ბრაუნშვეიგში ჩატარდა. ამასთან დაკავშირებით კვლავ გაძლიერდა ხმები, რომ ბლომბერგსა (სამხედრო მინისტრი) და გერინგს შორის უთანხმოებაა. კორესპონდენტის აზრით, ეს უთანხმოება იმან გამოიწვია, რომ გერინგმა მოითხოვა ვეებერთელა სახსრების გაღება ავიაციის სამინისტროსათვის. ავიაციის სამინისტროს ბიუჯეტის დამტკიცებისას 450 მილიონი მარკით შემცირდა ის ხარჯები, რაც გათვალისწინებული იყო სამინისტროს შენობის, ოფიცერთა კაზინოების, ყაზარმების და სხვ. მშენებლობისათვის. ეს თანხა თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რა მოთხოვნები წამოაყენა გერინგმა.

ავიაციის სამინისტროს ასიგნობანი შეკვეცეს ფინანსთა მინისტრის და რეიხსბანკის თავმჯდომარის შახტის დაჟინებული მოთხოვნით. (ადს).

საქართველოს

აგიტაცია და პროპაგანდა

ამხ. ბერიას მოხსენება ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ

(ქუთაისი)

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მიიღო დადგენილება ამხ. ლ. ბერიას მოხსენების „ა.-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" საფუძვლიანად შესწავლის საკითხზე. სერიოზული მუშაობა ჩატარდა გამოცდილი პროპაგანდისტების შერჩევით.

საქალაქო კომიტეტის ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობით საზაფხულო პოლიტგანათლების ქსელში მკვეთრად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი. საგულისხმოა ის, რომ პოლიტსკოლების მუშაობის დაწყების დღიდან პროპაგანდისტების მიზეზით ქალაქად სკოლებში მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევა არ ყოფილა, მეცადინეობას მსმენელნი ყოველთვის მთლიანად ესწრებიან და სათანადო აქტივობასაც იჩენენ.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება ქუთაისის პარტორგანიზაციაში მუშავდება ა.-წ. 16 აგვისტოდან. პროპაგანდისტების სერიოზულმა მუშაობამ მოხსენების ღრმად შესწავლისათვის და მსმენელთა დიდმა ინტერესმა ხელი შეუწყო მოხსენების შეთვისების მაღალ ხარისხს. ამ დღეებში ქალაქკომმა შეამოწმა ქალაქის მთელი რიგი პოლიტსკოლები (ძაფსაღებ კომბინატის, რიონჰესის, მკერავის, მაუდის ფაბრიკის და სხვ.) და პროპაგანდისტთა მუშაობის მეთოდი. ყველა აღნიშნული სკოლა ჯეროვან სიმაღლეზე აღმოჩნდა.

მაგრამ ზოგიერთი სკოლის და პროპაგანდისტის მუშაობა მოისუსტებს. მაგალითად, ქალაქის საბჭოს პარტორგანიზაციაში 4 სექტემბერს მუშავდებოდა ამხ. ლ. ბერიას მოხსენება. პროპაგანდისტ მელაძეს უნდა დაემუშავებინა მესამე თემა. აი, 22 მსმენელი შეიკრიბა და პროპაგანდისტმა დაიწყო მეცადინეობა.— მან დამუშავება დაიწყო წაკითხვით, გზადაგზა მცირე განმარტების მიცემით მალე თემა დამუშავებულად ჩასთვალა. თემის დამუშავებას არ მოჰყოლია შეკითხვები და ახსნა - განმარტება ცალკეულ საკითხებზე. მსმენელების დიდი ნაწილისათვის ზოგიერთი საკითხი გაურკვეველი დარჩა.

ამხ. მელაძემ დაიწყო წინა დამუშავებული თემის გამოკითხვა — აბა, ვინ მოგვცემს განმარტებას თუ რას წარმოადგენდნენ ლეგალური მარქსისტები? მსმენელები ხურციძე, აბულაძე, ფხაკაძე, სწორ პასუხს ვერ იძლევიან.

მეორე შეკითხვაზე, თუ როგორ ესმოდათ მენშევიკებს და ბოლშევიკებს სტიქიურობის თეორია—ვერც ერთი მსმენელი ვერ იძლევა პასუხს. კიდევ მეტი, თვით ამხ. მელაძე, როგორც საჭიროა, ვერ განმარტავს დასმულ კითხვას...

ეს იმის შედეგია, რომ მელაძე სერიოზულად არ მუშაობს თვითგანვითარებაზე. არც მსმენელები იწუხებენ თავს მუშაობით და მეცადინეობასაც ხშირად აცდენენ. 27 აგვისტოს მეცადინეობას 8 მსმენელი დააკლდა უმიზეზოდ.

ქალაქკომის კულტპროპგანყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ სკოლის მუშაობის გაუმჯობესებას.

ვ. ლალიაშვილი.

პოლიტდღე ამხ. ბერიას მოხსენების გარშემო

(ტრამვაი)

ტრამვაის პარტორგანიზაციამ პოლიტდღისათვის მზადება 20 აგვისტოდან დაიწყო. პარტკომის მდივანი ამხ. გ. კირვალიძე და მოძრაობის დარგის პარტორგანიზატორი ამხ. გრ. ზენაიშვილი პროპაგანდისტებთან ერთად წინასწარ ამუშავებდნენ საკითხებს, იძლეოდნენ ახსნა - განმარტებას, ერკვეოდნენ შეკითხვებს.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების პირველი და მეორე განყოფილების საფუძვლიანად და გულდასმით დამუშავებისას ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი კითხვა დაიბადა. შემოვიდა 180-ზე მეტი კითხვა. ეს მოწმობს, რომ ტრამვაის პარტორგანიზაციამ სერიოზულად და მოფიქრებულად მოჰკიდა ხელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლას.

მუშების დიდ ნაწილს აინტერესებს — რით ჩქმალავდნენ დღემდის ჩვენი ისტორიკოსები ამხ. სტალინის, კეცხოველისა და წულუკიძის როლს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, და სხვ., მათ აინტერესებთ ცალკე საკითხები საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ორგანიზაციების წარსულიდან.

8 აგვისტოს მოწყობილ პოლიტ- ა 300-ზე მეტი ტრამვაელი მუ- აესწრო. ისინი სულგანაბული იდნენ პასუხს რამდენიმე დღის თ მიცემულ კითხვებზე. ხ. კირვალიძე კითხვებზე პასუხის გასაცემად სიტყვას აძლევს ამხ. ს. ლორთქიფანიძეს.

მომხსენებელი თვითეულ კითხვაზე მოფიქრებულ და ამომწურავ პასუხს იძლევა. სხდომა 2 საათზე მეტს გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, დამსწრეთა ინტერესი და ყურადღება ოდნავადაც არ შენელებულა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ: ქ. თოდრია, ფ. ხავთასი, ტ. გორგელაძე, ვ. კუკულია და მემ-ქალი ამხ. შურა ჯორბენაძე. ბევრ მსმენელს ახალი კითხვაც დაებადა. მაგალითად, მუშა ტიგრან კაზაროვს აინტერესებს ამხ. კამოს მოღვაწეობა. ამხ. ბაგრატ კლოევი ს. ორჯონიკიძის, კ. ვოროშილოვის და მ. კალინინის მოღვაწეობამ დააინტერესა და სხვ. სხდომის დასასრულს მუშამ ამხ. დ. შუკაკიძემ [illegible] მომხსენებელს.

სხდომა უკვე დიდი ხნის მოთავებული იყო, როცა ლეონ კაკულია და გ. თაკაიშვილი (პარტიის წევრები) მოვიდნენ. მათ დაიგვიანეს. ისინი პოლიტდღეს არ დასწრებიან. ეს ამხანაგები მეცადინეობაზეც თურმე ხშირად იგვიანებენ.

მოძრაობის დარგში პოლიტდღე ნაყოფიერად ჩატარდა. ახლო ხანში მოძრაობის დარგის პოლიტსკოლების მსმენელები დაათვალიერებენ ტფილისის პარტკაბინეტში ამხ. ბერიას მოხსენებისათვის მიძღვნილ გამოფენას.

შ. ჯიქია

ქირურგთა ამიერ-კავკასიის მე-2 ყრილობა

11 სექტემბრის დილის სხდომა

11 სექტემბრის დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები მეორე საპროგრამო საკითხზე—სისხლის გადასხმა. თავმჯდომარეობს პროფ. ქ. ერისთავი. მთავარ მომხსენებლებად გამოვიდნენ: პროფ. გ. მუხაძე, პროფ. ქ. ერისთავი (ტფილისი), დოც. ეფენდიევი (ბაქო), დოც. ეოლიანი (ერევანი).

პროფ. მუხაძე—სისხლის გადასხმას საქართველოში მოკლე ისტორია აქვს. 1924-1932 წლამდე სისხლის გადასხმას სპორადიულად აწარმოებდნენ ტფილისის ზოგიერთი კლინიკები და საავადმყოფოები. 1932 წ. შემოდგომაზე დაარსდა სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური რომელმაც ჩქარა გაშალა თავისი მუშაობა: საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გახსნილია 50 ფილიალი, სადგურმა მოამზადა და გადაამზადა 400-დე ექიმი სისხლის გადასხმაში, აქვე აწარმოებს სტანდარტული შრატის დამზადება და დონორების შესწავლა, გადასასხმელი სისხლის დამზადება და სხვ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სანიტარული განყოფილების ხაზით მოწყობილია აგრეთვე სისხლის გადასხმის ცენტრ. სადგური თავისი ფილიალებით. სისხლის გადასხმა, როგორც საპროგრამო საკითხი, დასმული იყო საქ. ექიმთა მე-6 ყრილობაზე. მიმდინარე წლის მაისში ცენტრალური სადგურის მიერ მოწვეული იყო რესპუბლიკური კონფერენცია, რომელზეც საორგანიზაციო საკითხებს გარდა მოსმენილ იქნა მეცნიერული ხასიათის მოხსენებებიც.

ამნაირად სისხლის გადასხმა საქართველოში მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული. 3½ წლის განმავლობაში ცენტრ. სადგურის მიერ გადასხმულია სისხლი 1000-ჯერ, თითქმის ამდენივე რაოდენობით სისხლის გადასხმა ნაწარმოებია ფილიალების მიერ. სისხლის გადასხმას დღეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზოგიერთ ავადმყოფობათა მკურნალობაში, მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ მეთოდის პანაცეად აღიარება. სისხლის გადასხმას აქვს თავისი ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები, კლინიკაში გატარებულია 205 სისხლის გადასხმა და მიღებული შედეგები სხვადასხვა ავადმყოფობის დროს სხვადასხვანაირია, აბსოლუტურად ნაჩვენებია სისხლის გადასხმა მწვავე სისხლის დაკარგვის და შოკის დროს. ასეთ შემთხვევებში სისხლის გადასხმამ ბევრი ავადმყოფი იხსნა სიკვდილისაგან, კარგ შედეგს იძლევა იგი აგრეთვე სისხლის და სისხლის წარმომშობ ორგანოების ზოგიერთი დაავადების დროს; ნაცადი იყო სისხლის გადასხმა ზოგიერთ ტროპიკულ სნეულებათა დროს; სიდამწვრის დროს ხმარებულ სისხლის გადასხმას თვალსაჩინო შედეგი არ მოუცია. დამაკმაყოფილებელი ეფექტი მიღებულ სისხლის გადასხმის წარმოებით სეპსისით (სისხლის მოწამვლა) გართულებული ზოგიერთი ავადმყოფობის დროს. აღნიშნული მეთოდი იხმარებოდა აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც მოსამზადებელი საშუალება მძიმე ოპერაციების წინ, და შედეგი კარგი იყო.

სისხლის გადასხმა ნაჩვენები არ არის გულის დაავადების, ფილტვების და თირკმლების ზოგიერთი ავადმყოფობათა დროს, თირკმლების მწვავე ხასიათის დაავადებათა დროს სისხლის ნაწილობრივი გადასხმა დასაშვებია.

პროფ. ერისთავი თავის მოხსენებაში შეეხო სისხლის გადასხმასთან დაკავშირებულ ზოგიერთ გართულებებს. დაწვრილებით გააშუქა ანაფილაქსიური და ჰემოლიზური შოკის მოვლენები. ჰემოლიზური შოკის დროს პირველ მომენტში აგლუტინაციის ფაზაში ადგილი აქვს ემბოლიურ მოვლენებს. ამ საკითხში მომხსენებელი არ ეთანხმება პროფ. ბესსს, რომელიც ჰემოლიზურ შოკს მოვლენას ხსნის მხოლოდ თირკმლების სისხლძარღვთა სპაზმით, დიდი მუშაობა ჩაუტარებია ა.-კ. რკინიგზის ცენტრ. სადგურს სისხლის კონსერვაციის სხვადასხვა საშუალებების მოსამზადებლად. სხვა სტაბილიზატორებს შორის სადგური ხმარობს ზვარის მინერალურ წყალს, ხოლო უკანასკნელ ხანებში ხმარობენ მშრალ სტაბილიზაციას—სისხლის კონსერვაცია ხდება შრატში განზავებული ციტრატით.

პროფ. მუხაძე.

დოც. ეფენდიევი (აზერბეიჯანი) უდგენს ყრილობას ვრცელ მოხსენებას აზერბეიჯანში სისხლის გადასხმის წარმოების შესახებ. იქ სისხლის გადასხმას სისტემატურად აწარმოებენ 1926 წლიდან. აზერბეიჯანში სისხლის გადასხმა 8000 შემთხვევაშია ნაწარმოები. 4 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ჰემოლიზური შოკით გართულებას, რასაც მომხსენებელი ხსნის ტექნიკური ხასიათის შეცდომებით და ზოგიერთი ბიოლოგიური მომენტებით, მომხსენებელი ეხება აგრეთვე დონორების (სისხლის მიმცემი) საკითხს და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს დონორების ფრთხილად შერჩევას, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში დონორები შეპყრობილი არიან ფარული მალარიით და მათ სისხლში შეიძლება იყოს მალარიის გამომწვევი პლაზმოდიები.

დოც. ეოლიანი (ერევანი) აკეთებს მოხსენებას სომხეთში სისხლის გადასხმის საქმის მდგომარეობის შესახებ.

ექ. თ. ცანავა (ტფილისი) თავის მოხსენებაში ეხება აუტოტრანსფუზიის (საკუთარი სისხლის გადასხმა) საკითხს. მოჰყავს შემთხვევები ტრავმატ-ორტოპედ. განყოფილებიდან, რომელშიც ზოგიერთ ავადმყოფს ოპერაციის წინ რამდენიმე დღით ადრე ართმევდნენ სისხლს (200-300 კბ. სანტ. რაოდენობით) და ოპერაციის შემდეგ უსხამდნენ იმავე ავადმყოფებს. ასეთი პროცედურა საშუალებას იძლევა ამ ავადმყოფებს ადვილად გადაიტანონ ოპერაციის შემდგომი შოკი და აანაზღაურონ ოპერაციის დროს დაკარგული სისხლი.

პროფ. ნალბანდოვი (დნეპროპეტროვსკი) შეეხო ფრიად საინტერესო საკითხს —ჰეტეროგენული სისხლის გადასხმას (ცხოველების სისხლის გადასხმა ადამიანისათვის). ცნობილია, რომ შეუთავსებელი სისხლის გადასხმა დიდი რაოდენობით იწვევს მძიმე გართულებებს (ანაფილაქსიური და ჰემოლიზური შოკი) და ხშირად იგი რეციპიენტს (სისხლის მიმღები) სიკვდილით თავდება ეს აიხსნება იმით, რომ ცხოველის სისხლის გადასხმის დროს ადამიანის ორგანიზმში შედის უცხო ცილოვანი ნივთიერებანი, რაც მძიმე რეაქციას იწვევს. მომხსენებელმა ცხოველებზე ექსპერიმენტებით შესძლო აღნიშნული მძიმე მოვლენების შესუსტება. ცხოველიდან აღებულ სისხლს წინასწარ ცენტროფუგის საშუალებით ლექავს და აცლის პლაზმას, რომელიც ცილოვან ნივთიერებებს შეიცავს. ამგვარად რეციპიენტის ორგანიზმში შეჰყავთ მხოლოდ ერითროციტები (წითელი ბურთულები), უკანასკნელნი ჩქარა ქრებიან, მაგრამ იწვევენ სისხლის წარმომშობ ორგანოების გაღიზიანებას. ამავე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ექ. ს. ჩაჩუნაშვილი (ტფილისი). ექ. ფრიდმანი თავის მოხსენებაში აშუქებს სისხლის კონსერვაციის საკითხს.

სისხლის გადასხმასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე მოსმენილ იქნა ექ. ხანინის (მინსკი), აზარიანის (ერევანი), ტერტერიანის (ბაქო) და სხვ. მოხსენებები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ლიახოვიცკიმ (ხარკოვი), ბერეზოვმა, პროფ. შააკმა (ლენინგრადი), პროფ. ოკინშევიჩმა (ბაქო) საკაიანმა (მოსკოვი) და სხვ.

საღამოს სხდომა

11 სექტემბრის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს პროფ. ი. ჯანელიძე. მოსმენილ იქნა მოხსენებები მეტად აქტუალურ საკითხზე—ნერვიული ტროფიკისა და ნოვოკაინის ბლოკადის შესახებ. მთავარ მომხსენებლად გამოვიდა ბლოკადის ავტორი დამსახურებული პროფესორი ვიშნევსკი. თანამომხსენებლად პროფ. მილმანი, დოც. ზაქარაია, ექ. ტუავაძე და სხვ.

პროფ. ვიშნევსკი შეეხო უკანასკნელ წლებში პროფ. სპერანსკის მიერ დამუშავებულ ნერვო-ტროფიკულ თეორიას. ადამიანის ორგანიზმში მრავალი პათოლოგიური პროცესის დროს, აღნიშნული თეორიის თანახმად, ადგილი აქვს ნერვიული ტროფიკის მოშლას, საკმარისია გაღიზიანება მოვახდინოთ ნერვებზე, რომ პათოლოგიური პროცესი შესუსტდეს და მოისპოს კიდეც. ამგვარ ზეგავლენას პროფ. ვიშნევსკი ახდენს ნოვოკაინის შეშხაპუნებით წელის მიდამოში ან თვით პათოლოგიური პროცესის ირგვლივ, რითაც იგი იწვევს ნერვების ბლოკს. მომხსენებელი დაწვრილებით ეხება აღნიშნული მეთოდის ხმარების ჩვენებებს და მიღებულ შედეგებს. პათოლოგიური პროცესებს, რომლის დროსაც ეს წესი იხმარება, ის მიჰყავს სამ ჯგუფად: 1) ქრონიკული ტროფიკული წყლულები, 2) ანთებადი პროცესები, 3) სიმსივნეები (ნეირომიტები). მომხსენებელს მოჰყავს მრავალი მაგალითი, როდესაც ნოვოკაინის ბლოკ შედეგად მიუღია მთელ რიგ ავადმყოფობათა (წყლულების, ფურუნკულის, კარბუნკულის, კუჭის წყლულის, ფილტვების განგრენის) განკურნება. საინტერესოა შემთხვევა, როდესაც [illegible] ნოვოკაინით ბლოკის შემდეგ თავისთავად გამოსულა ბუნებრივი გზით, მეორე შემთხვევაში [illegible] საყლაპავ მილის ნიადაგზე —ავადმყოფი თხიერ საჭმელსაც ვერ ყლაპავდა, ნოვოკაინით ბლოკის შემდეგ ავადმყოფი არა მარტო თხიერს, არამედ მაგარ საჭმელსაც თავისუფლად ღებულობს. პროფ. ვიშნევსკის მოხსენება განსაკუთრებული ინტერესით იქნა მოსმენილი, რის შემდეგ გაცხოველებული კამათი გაიმართა. მოკამათეთა ერთი ჯგუფი უარყოფით შეხვდა მომხსენებლის მეთოდს და საკუთარი მასალით ამტკიცებდა, რომ ნოვოკაინის ბლოკს მათ ხელში დადებითი შედეგი არ მოუცია. მეორე ჯგუფი ორატორებისა აღნიშნავდა, რომ ეს მეთოდი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იძლევა კარგ შედეგს და საჭიროა კიდევ დაკვირვება და მასალის დაგროვება. კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. კოვალსკიმ (დნეპროპეტროვსკი), პონომარიოვმა, პროფ. ნაზაროვმა (ლენინგრადი), პროფ. მუხაძემ, პროფ. ერისთავმა (ტფილისი), პროფ. თოფჩიბაშევმა (ბაქო), პროფ. ქანანამა (ერევანი) და სხვ.

ყრილობის ქრონიკა

პრეზიდიუმის წინადადებით ყრილობა მისასალმებელ დეპეშას უგზავნის საბჭოთა რუსეთის ჯანსახკომს ამხ. კამინსკის და უკრაინის ჯანსახკომს ამხ. კანტოროვიჩს.

მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე ა.-კ. ქირურგთა 1 ყრილობის საპატიო თავმჯდომარეს პროფ. ს. პ. ფედოროვს.

ქ. ვ.

ქირურგთა ყრილობაზე.

შეჯიბრება ნამატის გამოზრდაში

ლაგოდეხის რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ ა.-წ. 10 ივლისს მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ა.-კავკასიასა და ჩრ. კავკასიას შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა რეალიზაციისათვის. ამ პრაქტიკული ღონისძიებების გატარების პროცესში შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ტალღა მეცხოველეობის აღმავლობისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 14 სასოფლო საბჭო, 82 კოლმეურნეობა 47 საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმით, 2 საბჭოთა მეურნეობა, 5 წარმოება დაწესებულება და ყველა ზოოვეტპერსონალი. ლაგოდეხის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის რაიონი.

შეჯიბრების გაშლით მთელ რიგ საბჭოებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. კაბლის სასოფლო - საბჭოში 1935 წლის სახელმწიფო გეგმით უნდა გამოიზარდოს 465 ხბო, იზრდება 559. უნდა გამოიზარდოს ზაქი 257 სული, იზრდება 324 (გეგმის 126 პროც.), უნდა გამოიზარდოს კვიცი 126, იზრდება 132 სული (გეგმის 104 პროც.)

კაბლის სასოფლო საბჭომ ხაფურე ხბოების კონტრაქტაციის გეგმა 120 პროცენტით შეასრულა, საბარე ხბოების 150-ით, პირუტყვის შესყიდვის კი 240 პროც.

გარდა ამისა აქ ჩამოყალიბდა მეცხვარეობის სამი და ერთი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმა.

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის წლიური დაგრილების გეგმა შესრულებულია 90 პროცენტით, ცხენის კი 105-ით.

უნდა დამზადებულიყო უხეში საკვები 6850 ცენტნერი, დამზადებულია 7600 ცენტნერი. სწარმოებს სამზადისი პირუტყვის ბინების მშენებლობისათვის.

სოფელ ყარაჯალაში, განჯალაში და გოდაქთალაში გლეხებმა იკისრეს [illegible] ნამატის გამოზრდის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულების ვალდებულება: კოლმეურნე ბალილ-ხალილ-ოღლიმ უნდა გამოზარდოს სახელმწიფო გეგმით 1-ხბო და 1-ზაქი. მანკი ვალდებულება აიღო და გეგმის ზევით ზრდის 1 ხბოსა და 1 კვიცს. კოლმეურნე ბაჩალი სულეიმან ოღლიმ სახელმწიფო გეგმით უნდა გაზარდოს 2 ხბო და 1 კვიცი, გეგმის ზევით ზრდის 1 ხბოს. ინდივიდუალურ გლეხმა კიაზ-მაჰმად ოღლიმ სახელმწიფო გეგმით უნდა გამოზარდოს 1 ხბო და 1 კვიცი. მან კი იკისრა გეგმის ზევით ერთი ხბოსა და ერთი ზაქის გაზრდა.

ასევე მოიქცნენ: მაჰმედ ბაირამ - ოღლი, ნოვრუზ მაჰმად-ოღლი, ალი ალამბარ-ოღლი, მაჰარამ ხოინ-ოღლი და სხვები.

კარგი შედეგი გვაქვს აგრეთვე ბაისუბნის, ბუდიონოვკის, აფენის, ლელიანის, ულიანოვკის და სხვა სასოფლო საბჭოებში.

სულ სხვა სურათია ფონის სასოფლო - საბჭოში. საბჭო (თავმჯდომარე ხარდო ქოზაევი) ვერ გაერკვა საკ. კ.პ. (ბ) ც. კომიტეტის ივნისის პლენუმის დირექტივებში, ვერ შესძლო გაეშალა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რამაც ერთგვარი გასაქანი მისცა კულაკურ აგიტაციას. კულაკური ელემენტები არწმუნებდნენ გლეხებს, რომ როცა მეცხოველეობის გეგმა-განრიგს მიიღებთ, შემდეგ მოზარდ პირუტყვს ჩამოგვართმევენო. კულაკების ეს პროვოკაციული ხმები ფონაში თავის დროზე არ იყო გაბათილებული.

ბოლოს რაიონის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა დაარწმუნეს გლეხობა, რომ მოზარდი პირუტყვი მხოლოდ მათთვის იზრდება და არავითარ ჩამორთმევას არ ექნება ადგილი. ამის შემდეგ კი ყველამ მიიღო მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმა და უმრავლესობამ იკისრა პირუტყვის გეგმის ზევით გამოზრდა.

მ. შალიკაშვილი.

ყარა-კალპაკიის პოეტები ტფილისში

11 სექტემბერს, საღამოს, ტფილისში ჩამოვიდა ყარა - კალპაკის მწერალთა კავშირის ბრიგადა ყარაკალპაკის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის მოადგილის პოეტ ამხ. იზბასარ ფაზილოვის, მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის პოეტ ამხ. მურზაგალი დარიბაევის და პოეტ ამხ. ნაზბერგენოვის შემადგენლობით.

ტფილისში ჩამოსვლამდე ბრიგადამ რამოდენიმე დღე დაჰყო ბაქოში, სადაც მოხდა მათი შეხვედრა აზერბეიჯანის მწერლებთან.

ბრიგადამ დაათვალიერა კულტურისა და დასვენების პარკი „როტე ფანე", სადაც პოეტებმა მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდობის კარნავალში.

წასვლის წინ პოეტები მიიღო აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რახმანოვმა. მეგობრული საუბრის დროს ამხ. რახმანოვმა ბრიგადის წევრებს გააცნო აზერბეიჯანის კულტურულ - სამეურნეო ზრდა. ამხ. რახმანოვი დაჰპირდა ბრიგადას, რომ უახლოეს დროში ყარა - კალპაკიაში გაემგზავრება აზერბეიჯანის მწერალთა ჯგუფი შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილების გაზიარების და კავშირის განმტკიცების მიზნით.

ტფილისში ბრიგადა რამდენიმე დღეს დარჩება და გაეცნობა ტფილისის კულტურული ორგანიზაციების მუშაობას.

ყარა - კალპაკის მწერლები ქართული ლიტერატურის გაცნობის მიზნით შეხვდებიან საქართველოს მწერლებს.

ტფილისიდან ბრიგადა საქართველოს სამხედრო გზით ქალაქ ორჯონიკიძეზე გავლით გაემგზავრება მოსკოვში, შემდეგ ინახულებს ლენინგრადსა და ტაშკენტს (ადს).

„ვსეროკომპომის" ლიკვიდაცია

მოსკოვი, 10 სექტემბერი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება „ვსეროკომპომის" (ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოება) ლიკვიდაციის შესახებ.

„ვსეროკომპომის" ქონება და სახსრები სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს გადაეცემა. ამ ორგანოებს ევალებათ „ვსეროკომპომის" საწარმოთაგან მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილი მოახმარონ სამოქალაქო ომის განსაკუთრებით გაჭირვებულ ინვალიდების, სამოქალაქო ომში დაღუპულთა და ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

(ადს).

ვილჰელმ პიკი □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □

კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს წევრი.

გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამხ. დიმიტროვი თავის მოხსენებაში კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესზე აღნიშნავდა: „ბურჟუაზიის ფაშისტური დიქტატურა მძვინვარე, მაგრამ უმკვიდრეს მოკლებული ხელისუფლება არისო". ფაშისტური რეჟიმი რომ მკვიდრი არ არის, ამის აშკარა მაგალითს წარმოადგენს ფაშისტური დიქტატურის მდგომარეობა გერმანიაში.

უკანასკნელ კვირებში გერმანიაში მოხდა ისეთი ამბები, რომლებიც წარმოადგენენ შინაპოლიტიკური მდგომარეობის უაღრესად სერიოზული გამწვავების შედეგს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ნაციონალ - სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „ფელკიშერ ბეობახტერ" ერთერთ წერილში იძულებული გახდა განეხილა საკითხი — „არის თუ არა ნამდვილად რეჟიმის კრიზისი"? რასაკვირველია, ჰიტლერის დიქტატურის ეს ოფიციალური ორგანო ამტკიცებს, რომ გერმანიაში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ჰიტლერის, პროპაგანდის მინისტრის გებელსის და შინაგან საქმეთა მინისტრის ფრიკის სიტყვებს უკანასკნელ დროს სულ სხვა ტონი აქვს. მათ უხდებათ ძალიან მკვეთრი სიტყვები იხმარონ „შინაურ მტრებზე", რომელთა წინააღმდეგ ისინი მოითხოვენ უაღრესად მკაცრი ზომების მიღებას.

ის გარემოება, რომ საწარმოებში იზრდება მუშათა წინააღმდეგობა ხელფასის შემცირების ცდებისა და მეწარმეთა თვითნებობის მიმართ, რომ სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება ოპოზიცია „მუშათა ფრონტში" (ფაშისტური ორგანიზაცია მუშებისათვის) ზემოდან დანიშნულ „შიხაკისფერ" პირთა წინააღმდეგ, იწვევს ფაშისტების უდიდეს შეშფოთებას. ამით აიხსნება ტერორის ზრდაც კომუნისტების წინააღმდეგ სასიკვდილო განაჩენი ამხ. კლაუსის და კაიზერის მიმართ ფაშისტური რეჟიმის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის.

მაგრამ მარტო მუშათა წინააღმდეგობა როდი აიძულებს ჰიტლერის მთავრობას, რომ საგანგებო ზომებს მიმართოს. იზრდება აშკარა აღშფოთება ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობისა, რომელთა მდგომარეობაც დღითიდღე უარესდება. განუწყვეტლივ მატულობს უკმაყოფილება მასებისა, რომლებსაც ფაშისტები ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ, მაგრამ ამის მაგივრად ახალი სიღატაკე და გაჭირვება მოუტანეს. ჰიტლერის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ფინანსიური კაპიტალის ყველაზე უფრო რეაქციული ელემენტების სასარგებლოდ ხორციელდება, სულ უფრო და უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ მოსახლეობის ფართო მასები.

ჰიტლერის პოლიტიკა შიშსა და უკმაყოფილებას იწვევს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებს შორისაც და განსაკუთრებით მოიერიშეთა შორის. ისინი ვერ შეიგებიან იმას, რომ სახელმწიფოში გადამწყვეტი მდგომარეობა რეიხსვერის გენერალიტეტმა დაიკავა და რომ ისტორიას ჩაბარდა ის „გმირული დღეები", როცა მოიერიშეებს, როგორც მასობრივი ტერორის იარაღს, დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ მმართველი წრეები. არ გაუმართლდათ მოიერიშეებს იმის იმედი, რომ მათ მატერიალურად უზრუნველჰყოფდნენ. იმ ზეგავლენის შედეგად, რომელსაც მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული ფენები ახდენენ ნაციონალ - სოციალისტურ წრეებზე, უფრო და უფრო ძლიერდება ოპოზიცია ფაშისტური დიქტატურის მიმართ. თავისთავად გასაგებია, რომ შეცდომა იქნებოდა გადაჭარბებით შეგვეფასებინა მთელი ეს წინააღმდეგობა, რომელიც სხვადასხვა ფორმებში იჩენს თავს. მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს იმ ძვრების სიმპტომს, რომლებიც ფაშისტურ გერმანიაში ხდება, მ ახალი მოვლენის სიმპტომს, რომელიც თავის გამოხატულებას ჰპოვებს ფაშისტურ პრესაშიც. უკმაყოფილებას უმთავრესად იწვევს მზარდი სიძვირე, ნედლეულის მიწოდების სიძნელეები, რაც თანდათან მატულობს, სახელმწიფოს უდიდესი მოკლევადიანი დავალიანება, რაც ინფლაციის აშკარა საფრთხეს ჰქმნის. თუმცა ფაშისტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაამახინჯონ იმ ამბების აზრი, რომლებიც გერმანიაში ხდება, მაგრამ მათ არ ძალუძთ თვით ფაქტების დამალვა.

შინაგან საქმეთა ფაშისტმა მინისტრმა ფრიკმა თავის სიტყვაში, რომელიც მან ამასწინათ ჰესენში წარმოსთქვა, აღიარა, რომ პროდუქტების ფასების ზრდა მთავრობის უდიდეს შეშფოთებას იწვევსო. ორგანო „ქელნერ ნაციონალ ცეიტუნგში" ლაპარაკია იმაზე, რომ უკვე „წელიწადზე მეტია, რაც გრძელდება ფასების ზრდა", აგრეთვე ლაპარაკია იმ „გაფრთხილებასა" და „სათანადო ღონისძიებებზე", რომლებიც უშედეგოდ დარჩა იმიტომ, რომ „კაპიტალისტური სისტემის წარმომადგენლები მუდამ აზრებდნენ ფასების გადიდების დასაბუთებას და მიღწევას". 1935 წლის 26 ივლისის „ფრანკფურტერ ცეიტუნგი" აგრეთვე იძულებულია აღიაროს, რომ გასულ წელთან შედარებით 9—10 პროცენტით გადიდდა ხორცის ფასები და, უწინარეს ყოვლისა, საგრძნობლად იმატა ხილისა და ბოსტნეულის ფასებმა.

დამახასიათებელია, რომ ამჟამად ფაშისტური პრესა იძულებულია აშკარად აღიაროს ცხოვრების გაძვირება, რაც დღემდე აკრძალული იყო საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსების შიშით, თუმცა, გაზეთები დუმილით უვლიან გვერდს იმას, რომ ზოგიერთი ქალაქის ბაზრებზე უკვე ხდებოდა აშკარა უწესოებანი, როცა დიასახლისები გამოდიოდნენ ფასების გადიდების წინააღმდეგ. მშრომელი მასები უდიდესი შიშით მოელიან ზამთრის მოახლოვებას, რომელიც უფრო მეტად გააუარესებს მათს მატერიალურ მდგომარეობას.

გერმანიის მშრომელებში ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობა იზრდება გერმანიის მმართველი წრეების საწარმოო სიძნელეთა გამოც. გერმანიის მრეწველობა იძულებულია საზღვარგარეთიდან შემოიტანოს დასამუშავებელი ნედლეულის 45 პროცენტი. ამისთვის საჭირო სახსრების მიღება შეიძლება მხოლოდ გერმანიიდან მზა საქონლის ექსპორტის გზით. მაგრამ სწორედ ეს ექსპორტი შემცირდა მკვეთრად, რაც უმთავრესად ფაშისტური პოლიტიკის წყალობით მოხდა. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა შეექმნა ერთი მილიარდი მარკის ფონდი, რათა სუბსიდიების გზით მიეცა საშუალება საქონლისგამტანი მრეწველობისათვის შეემცირებინა გასატანი საქონლის ფასები და ამ დემპინგის საფუძველზე გაედიდებინა საქონლის გასაღება. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბაზრის მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ ფაშისტური მთავრობის ეს უკიდურესი ღონისძიებანიც კი საბუთს ვერ გვაძლევენ გერმანიის ექსპორტის გადიდების იმედი გვქონდეს.

ინფლაციის და თვით სახელმწიფოს გაკოტრების საფრთხე უფრო და უფრო მეტად დასტრიალებს თავს ამ ქვეყანას. ამაზე უკვე საკმაოდ აშკარად ლაპარაკობენ. ჰიტლერის მთავრობამ „უმუშევრობასთან ბრძოლის" და შეიარაღების დაფინანსების მიზნით უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში გამოუშვა 15—17 მილიარდი მარკის მოკლევადიანი სესხი. ფაშისტური პრესა ვერ ბედავს ამ ფაქტის უარყოფას მაგრამ ფრაზების ნიაღვარში ცდილობს დამალოს აქედან გამომდინარე მრისხანე შედეგები.

ჰიტლერის მთავრობა ცდილობს უცხოეთის სესხის მიღებას ლონდონისა და პარიზის ბანკებისაგან რათა სძლიოს მომარაგების სიძნელენი და ის სიძნელენი, რომლებიც მოკლევადიანი დავალიანებიდან გამომდინარეობენ. მაგრამ ამ სესხის მიღების იმედი ძალიან მცირეა. უცხოელი ბანკირები არ ენდობიან ჰიტლერის გერმანიის გადახდისუნარიანობას. ფაშისტური გერმანიის შიგნით მდგომარეობა უფრო და უფრო მერყევი ხდება. ამ მდგომარეობის შესაფასებლად უაღრესად დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ფაშისტური რეჟიმის სამეურნეო დიქტატორი შახტი სახელმწიფო ბანკში ჰიტლერის ბიუსტის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში სრულიად აშკარად გამოვიდა ებრაელთა რბევის წინააღმდეგ, რასაც ფაშისტები აწყობენ, ვინაიდან, მისი აზრით ეს გააძნელებს სესხის მიღებას საზღვარგარეთ. რასაკვირველია, ფაშისტურმა პრესამ დუმილით აუარა გვერდი ამ სიტყვას.

ჰიტლერის მთავრობა ცდილობს ტერორით ჩააქროს მოსახლეობის მზარდი აღშფოთება. დაშალეს „ფოლადის მუზარადის" ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენდნენ ნაციონალ - სოციალიზმის წინააღმდეგ ოპოზიციურ ძალთა შეკრების ერთერთ ცენტრს, მათი ბელადების ნაწილი დაპატიმრებულია. სასტიკად სდევნიან კათოლიკურ გაერთიანებებს, ვინაიდან ისინი ებრძვიან ჰიტლერის მისწრაფებებს, რომ ხელში ჩაიგდოს საეკლესიო ორგანიზაციები. პირველ რიგში ძლიერდება ტერორი კომუნისტებისა და სხვა ანტიფაშისტების წინააღმდეგ. სასტიკად სდევნიან ებრაელებს, აწყობენ ებრაელთა რბევებს.

იმ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრაფ ჰელდორფის დანიშვნას ბერლინის პოლიციის პრეზიდენტად. ეს კაცი წინათ დაახლოვებული იყო მოიერიშეთა ბელად რემთან, რომელიც ჰიტლერმა მოჰკლა.

„ფოლადის მუზარადის" დაშლა და კათოლიკეთა დევნა იმით აიხსნება, რომ სწრაფად იზრდება ოპოზიციური განწყობილებანი წვრილბურჟუაზიულ ფენებში, რომლებიც ფაშიზმის მასობრივ ბაზას წარმოადგენენ. კათოლიკურ ორგანიზაციებში, რომლებიც დაახლოებით 5 მილიონ კაცს აერთიანებენ, ხდება უაღრესად სერიოზული ანტიფაშისტური მღელვარება. ნაციონალ-სოციალისტები იძულებული არიან დაშალონ ყველა ორგანიზაცია, რომელიც არ იმყოფება მათი უშუალო კონტროლის ქვეშ, ვინაიდან ასეთი ორგანიზაციები ადვილად შეიძლება გადაიქცნენ მასობრივი ოპოზიციის დასაყრდენ პუნქტებად. ებრაელთა რბევა წარმოადგენს ჰიტლერელთა ცდას, რომ გამოიყენონ ძველი რეაქციული რეცეპტი: ჩამოაშორონ მასების ყურადღება მატერიალური გაჭირვების ზრდის ნამდვილ მიზეზებს და მის ნამდვილ დამნაშავეებს.

გრაფ ჰელდორფის დანიშვნა ბერლინის პოლიციის პრეზიდენტად წარმოადგენს დათმობას მოიერიშეთა უკმაყოფილების ზრდის გამო. ვინაიდან ისინი ჰელდორფს „თავის კაცად" სთვლიან. 1934 წლის 30 ივნისს ჰიტლერს შეეძლო ფაშისტური ხროვის შიგნით ოპოზიციის მოსპობა მკვლელობათა და მასობრივ დაპატიმრებათა გზით, მაგრამ ახლა იგი იძულებულია აწარმოოს მანევრები და ზოგიერთი რამ დაუთმოს ამ ოპოზიციას. ეს არის ახლანდელი მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მუშათა კლასში უფრო და უფრო ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რის გამო ფაშიზმი იძულებულია გააძლიეროს თავისი სოციალური დემაგოგია და რამდენადმე წამოაყენოს წინ „უკიდურესი" ელემენტები თავის საკუთარ რიგებში.

შემთხვევითი როდია, რომ „მუშათა ფრონტის" ბელადმა დოქტორმა ლეიმ „ახალი" ლოზუნგის სახით წამოაყენა ლოზუნგი—„ახლა ხელი მივკიდოთ ხელფასს", თუმცა ერთ დროს იგი უკვე აჯერებდა ამ ლოზუნგს იმ განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა „სამართლიანი ხელფასის" გამომუშავების შესახებ.

შექმნილი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი ფაქტი. ოფიციალური ფაშისტური გაზეთები და ჟურნალები ახლა აღიარებენ, რომ „სამუშაოთა შექმნის" დაფინანსებამ სარგებლობა მოუტანა მხოლოდ მრეწველებსა და ბანკებს, მაშინ როდესაც მომხმარებლებმა, ე. ი. პირველ რიგში მშრომელმა მასებმა, აქედან „ცოტა სარგებლობა" მიიღეს. ნაციონალ - სოციალისტთა ოფიციალური ეკონომიური ჟურნალი „დეიჩე ფოლკსვირტშაფტი" აღიარებს, თუმცა დიდი შენიშვნებით, რომ მუშის ხელფასი სდგას 1932 წლის კრიზისის ყველაზე დაბალ დონეზე, ნაწილობრივ კი მასზე დაბლაც".

ფაშისტური პრესა ამჟამად ტყუილად კი არ ლაპარაკობს ასეთი ენით. ეს გამოხატავს საწარმოებში საპროტესტო გამოსვლების ზრდას. იმ გამოსვლების ზრდას, რომლებიც ალაგ-ალაგ უკვე მოკლევადიანი გაფიცვების ფორმას იღებენ. თავისთავად ცხადია, ხელფასისათვის ამ ბრძოლის შესახებ ფაშისტური პრესა არაფერს ლაპარაკობს. მაგრამ „შუბი ხალთაში არ დაიმალება" ყველაფრიდან ნათლად სჩანს, თუ რა რიგ აშფოთებს ეს მოძრაობა ფაშისტური რეჟიმის წარმომადგენლებს. ისინი იძულებული არიან მიმართონ კიდევ უფრო უსირცხვილო სოციალურ დემაგოგიას, რომელიც თავის გამოხატულებას ჰპოვებს „ანტიკაპიტალისტურ" დეკლარაციებსა და ხელფასის „საკითხის დაყენებაში". უკანასკნელ დროს ჰიტლერელთა ღონისძიებანი მასების უკმაყოფილების ზრდის წინააღმდეგ მიმართულია იქით, რომ არ დაუშვან წვრილი ბურჟუაზიის უკმაყოფილებისა და მუშათა კლასის წინააღმდეგობის ზრდის გაერთიანება. მაგრამ ამ ღონისძიებებს შეუძლიათ მხოლოდ გააძლიერონ წინააღმდეგობის გაწევა.

ის ამბები, რომლებიც გერმანიაში ხდება, გერმანიის კომუნისტურ პარტიას მეტად მნიშვნელოვან ამოცანებს უსახავენ. ფაშისტური რეჟიმი მტკიცე რეჟიმი არ არის. მაგრამ აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ იგი თავისთავად მოისპობა, წინააღმდეგობის გაუწევლად, უბრძოლველად. ამხ. დიმიტროვმა კომინტერნის VII კონგრესზე სასტიკად გააკრიტიკა გერმანიის კომუნისტების მიერ ერთ დროს დაშვებული შეცდომები. გერმანიის კომუნისტური პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შესძლოს კონგრესის გადაწყვეტილებანი, ამხ. დიმიტროვის მითითებათა საფუძველზე, შეუგუოს გერმანიის პირობებს.

უაღრესად სერიოზული ნიშნებია იმისა, რომ გერმანიაში კლასობრივი წინააღმდეგობანი შემდეგში უფრო გამწვავდება, კლასობრივი ბრძოლა გაძლიერდება. გერმანიის მუშათა კლასის წინაშე დასახულია უდიდესი ამოცანა — ერთიან ფრონტად დარაზმოს მთელი თავისი ძალები, რათა თავისი ხელმძღვანელობით ჩააბას მებრძოლ ანტიფაშისტურ ფრონტში გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. გერმანიის კომუნისტური პარტიის წინაშე, გერმანიის პროლეტარიატის ავანგარდის წინაშე დასახულია ამოცანა — უდიდესი ინიციატივა გამოიჩინოს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, მის ტერორისტულ ღონისძიებათა და მისი სოციალური დემაგოგიის წინააღმდეგ მთელი მშრომელი მასების დარაზმვის საქმეში, რათა შემდეგ სწრაფი ტემპებით გაიშალოს აშკარა ბრძოლა ფაშიზმის დიქტატურის წინააღმდეგ.

კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესმა თავის სხდომებზე, თავის რეზოლუციებში მსოფლიო პროლეტარიატს გამოუჭედა ისეთი იარაღი, რომლის შემწეობითაც გერმანიის ხალხი განთავისუფლდება ფაშისტური უღლისაგან. ერთიან პროლეტარულ ფრონტსა და ანტიფაშისტურ ფართო სახალხო ფრონტში გერმანიის მშრომელები იპოვიან იარაღს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ახალი იმპერიალისტური ომის მთავარ ვამჩაღებელს — ჰიტლერის ფაშიზმს და შექმნან თავისუფალი სოციალისტური გერმანია.

რევოლუციური კანონიერების მთელი სიმკაცრით დავიცვათ მუშგლეხკორები დევნისაგან

გლეხკორებს სდევნიან ხარაგოულის რაიონში

ხარაგოულის რაიონში. არავინ უარ ჰყოფს, იმას, რომ ფილიმონ გვაძაბია უთუოდ ობიექტიური, სრულიად მიუდგომელი კორესპონდენტია. მას არასდროს არ ჰქონია ჩავარდნა, არასდროს არ შეუყვანია შეცდომაში არც ადგილობრივი და არც ცენტრალური გაზეთების რედაქციები. მან მიუდგომელი მუშაობით სათანადო ავტორიტეტიც დაიმსახურა.

გასულ წელს გვაძაბიამ ამხილა ხარაგოულის კოოპერატიული ორგანიზაციების ყალთაბანდური მუშაობა, გამოაშკარავა გამფლანგველები, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ საქმეში ერევა პროკურატურა, არკვევს გამომძიებლის სინამდვილეს და საქმე ბოლომდე მიჰყავს. ამ შემთხვევაშიც საქმეში ჩაერია ხარაგოულის მაშინდელი პროკურორი ბეგიაშვილი (ახლა ჭიათურის პროკურორია). მილიციელის საშუალებით მან სკოლიდან გამოიძახა ამხ. გვაძაბია, მაგრამ დატუქსა და საქმე ამით „დაბოლოვა".

ეს მაგალითი მისაბაძი გახდა სხვებისათვის. როცა ექიმი ბრეგვაძე გასულ წელს „კომუნისტში" გასწორეს, გასწორეს უხეირო მუშაობისათვის, მან რაიკომში კორესპონდენტს გაბრაძეს ჯოხით ცემა დაუპირა, მაგრამ გააშველეს. მას ამისათვის მხოლოდ სიტყვიერი საყვედური უთხრეს. აღნიშნულ ფაქტებში ხარაგოულის რაიონის ზოგმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კორესპონდენტის დევნა ვერ დაინახა.

ამით ექიმი ბრეგვაძე კიდევ უფრო გათავხედდა. ის დაწერასაც კი არ აცლის კორესპონდენტს, წინასწარ მიაქვს იერიში, თავს ესხმის მას.

აი ფაქტი: 21 მაისს ხარაგოულის საავადმყოფოში მოიყვანეს მძიმედ დაშავებული კოლმეურნე დავით ჩუბინიძე. მას ესაჭიროებოდა სასწრაფო დახმარება, ბრეგვაძემ კი ეს დახმარება მას მხოლოდ 23 მაისს აღმოუჩინა. ავადმყოფს რიგიანი მოვლა არც შემდეგ ჰქონია. ამან ააშფოთა მას სანახავად მოსული მამა. მან გვაძაბიას სთხოვა ენახა თუ რა მდგომარეობაშია მისი შვილი. ამხ. გვაძაბიაც წაჰყვა საავადმყოფოში. ეს გაიგო ბრეგვაძემ, მივარდა საავადმყოფოში, სცემა ავადმყოფის მოხუც მამას, ავადმყოფის დაჭრილ ფეხზე ცხვირი დააკვრევინა. აღვირახსნილმა ბრეგვაძემ ესეც არ იკმარა: მოუვარდა კორესპონდენტს გვაძაბიას, გალანძღა უშვერი სიტყვებით, „ჯიბგირ", „შპიონი" უწოდა და ბოლოს დასძინა: „შენისთანა კორესპონდენტები — მიბურთავებია და შენც გაბურთავებო" (ალბათ გაბრიძის მაგალითი მოაგონდა), ცემაც დაუპირა, მაგრამ გააშველეს. შემდეგ „რაინდმა" ჯავრი ავადმყოფზე იყარა: გასცა განკარგულება ავადმყოფი ჩუბინიძე დაუყოვნებლივ გაეწერათ საავადმყოფოდან. კიდევ კარგი, რომ ლოთი ექიმის (ბრეგვაძე სამსახურში ხშირად მთვრალი ცხადდება, ამ დღესაც მთვრალი იყო) განკარგულება არავინ შეასრულა. უაღრესად აღშფოთებული ავადმყოფი ძლივს დააშვიდეს.

მაგრამ თავხედი ექიმი ამას არ დასჯერდა, მან გადაწყვიტა, რომ კორესპონდენტს საკმაოდ ვერ „გაუსწორდა" და დაედევნა უკან; გვაძაბიას სადგურში შეხვდა და მივარდა საცემად, მაგრამ აქაც დამსწრეებმა შეუშალეს ხელი.

როგორც ვხედავთ, ბრეგვაძე არ ხუმრობს. ამიტომ პროკურატურამაც სერიოზულად მოჰკიდა ბრეგვაძის საქმეს ხელი, და გამოძიება თვენახევარში დაამთავრა. ბრეგვაძეს დაუმტკიცდა ავადმყოფებთან და მათ მნახველებთან ხულიგნური მოპყრობა, უფლების გადაჭარბება და კორესპონდენტის დევნა, მას წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლები. (115,119 და 72). სასამართლოს სხდომა 29 აგვისტოს შესდგა. მაგრამ ბრეგვაძემ აბუჩად აიგდო საბჭოთა სასამართლო და საქმის გარჩევაზე გამოცხადებაც კი არ იკადრა.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის პარტორგანიზაცია ამ საქმისადმი უყურადღებობას იჩენს, პირველად რაიკომი თითქოს დაინტერესდა. პროკურატურას დაევალა საქმის გამოძიება, მაგრამ შემდეგ აღარ უკითხავს თუ რა ბედი ეწია ამ საქმეს.

სჩანს ადგილობრივი ამხანაგები ვერ აფასებს ამ საქმის პრინციპიულ მნიშვნელობას. კორესპონდენტის დევნას ისინი ვერც ახლა ამჩნევენ. რაიკომის მდივნის ამხ. ჩხეიძის აზრით კორესპონდენტის დევნას ადგილი არ ჰქონია, ეს იყო უბრალო შეხლა-შემოხლა ნასვამ ბრეგვაძესა და ამხ. გვაძაბიას შორის, და ეს მაშინ, როცა თვით ბრეგვაძემ თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც უკვე აღიარა თავისი დიდი დანაშაული. იგი მიხვდა, რომ შორს შესტოპა, რომ გლეხკორის დევნისათვის მას თავზე ხელს არ დაუსვამენ და გაზ. „კოლექტივიზაციის" რედაქციას საბოდიშო წერილი მისწერა, რომელშიც სწერდა: „ეს (საავადმყოფოში მისვლა. ლ. ჯ.) ჩავთვალე ჩემს საქმეებში ჩარევად და თქვენს კორესპონდენტს ამხ. ფ. გვაძაბიას დაუშვებელი სიტყვიერი შეურაცყოფა მივაყენე, რა თქმა უნდა, ჩემი მოქმედება სწორად არ მიმაჩნია, (იხ. „კოლექტივიზაცია" № 136, ა-წ. 15 იანვარი).

ამგვარად, მან ფაქტიურად თავი დამნაშავედ იცნო, მაგრამ როცა ადგილობრივ „სათნოება" გამოიჩინეს, მან გული მიეცა და ახლა წაყენებულ ბრალდებას უარჰყოფს. კორესპონდენტის მდევნელისადმი ასეთმა ლმობიერებამ სხვებიც გაათავხედა. გაზ. „ლენინის დროშით"-ის ამა წლის 24 აგვისტოს ნომერში სოფ. ლაზუნდარის გლეხკორებმა ამხილეს არტელის ბრიგადირი გიორგი კავილაძე, კაცის მოკვლისათვის გადასახლებაში 8 წელიწადს ნამყოფი. ის არტელში სპეკულანტობას ეწეოდა. გ. კავილაძემ ეჭვი მიიტანა ა. და ნ. კავილაძეებზე და მოსაკლავად სახლში მიუვარდა ნ. კავილაძეს. შეშინებულმა კორესპონდენტებმა ფეხით ჩამოირბინეს ხარაგოულში. ახლა ამ საქმეს პროკურატურა არკვევს.

აღნიშნული ფაქტებიდან აშკარად სჩანს, რომ ხარაგოულის რაიონში სათანადოდ არ აფასებენ ბეჭდვითი სიტყვის უდიდეს მნიშვნელობას და არ ზრუნავენ მუშგლეხკორების დაცვაზე რევოლუციური კანონების მთელი სიმკაცრით. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

საბჭოთა პრესა კლასობრივი მტრის, მავნებლების, ბიუროკრატებისა და გადაგვარებული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის უმახვილესი იარაღია. მუშა და გლეხი კორესპონდენტები საბჭოთა ხელისუფლების თვალი და ყურია. ლენინის პარტია ამხ. სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით განუზომელ მზრუნველობას იჩენს მუშგლეხკორებისადმი და გადაჭრით იცავს მათ დევნისაგან.

ბრეგვაძის და კავილაძის მსგავს ხალხს ეს დღემდე ვერ გაუგიათ, ზემოდმოყვანილის მსგავსი შემთხვევები არის სხვა რაიონებშიც, საჭიროა რაიონების ხელმძღვანელებმა გააძლიერონ ზრუნვა მუშგლეხკორებზე, დაიცვან ისინი ხულიგნებისა და სხვა უცხო ელემენტების შემოტევისაგან, გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ნაბეჭდ და კედლის გაზეთებზე.

ლ. ჯავახაძე.

რედაქციისაგან. ჩვენ მოველით პარტრაიკომის ჩარევას საქმეში და ცნობას მის მიერ მიღებულ ზომების შესახებ.

ასე არ მუშაობს ლენინური კომკავშირი

კრება, რომლის მსგავსი არ უნდა განმეორდეს

ზარი არ ჰქონდათ. კრების თავმჯდომარეს გაციიძისაგან ხმა წასვლოდა და ყველას გასაგონად ვეღარ ლაპარაკობდა.

კომკავშირის კომიტეტის მდივანიც კი არღვევდა დისციპლინას. ვილაცამ მას რეპლიკა ესროლა კომკავშირული მეურნეობის მოუწესრიგებლობის შესახებ, რითაც მეტად აწყენინა და გამოიწვია იგი ლაპარაკში.

— გაჩუმდით!.. მოუსმინეთ მოკამათეს,—ყვიროდა თავმჯდომარე.—კომკავშირელთა კრებაა თუ ოთარმა? გაჩუმდით...

ცოტახნით სიწყნარე ჩამოვარდა ერთმა მოკამათემ დაამთავრა სიტყვა და მეტი ყვირილისაგან მოქანცული დაჯდა.

კამათში ამხ. დავითიც გამოვიდა. მას 3 წუთში უნდა ეთქვა თავისი გულისტკივილი, ხოლო სალაპარაკო კი 3 საათისა და მეტისაც ჰქონდა.

—„ჩვენს კოლმეურნეობაში 70 კომკავშირელი ვართ,—დაიწყო მან რიხიანად. ჩვენი ხელმძღვანელი, ე. ი. ა. კ. კ. კომიტეტის მდივანი თქვენა ხართ, ამხ. ალ. მავერდიშვილო! ჩვენი ორგანიზაცია კი სუსტად მუშაობს, კეთილი ინებეთ და კარგად იმუშავეთ გაგვიძეხით წესიერად, ნუ სთვლემთ, ნუ ზანტობთ..

— კმარა. სამი წუთი გავიდა. დაჯექი,—გააწყვეტინა კამათი კრების თავმჯდომარემ, როდესაც დაინახა, რომ მოკამათე ქვევიდან კრიტიკას ცეცხლს ანთებდა.

— სამი წუთი!? სამი სიტყვაც არ მითქვამს! მაცალეთ ლაპარაკი!

— ილაპარაკოს,—მხარი დაუჭირეს დამსწრეებმა.

— რა მდგომარეობაშია ჩვენი კომკავშირული მეურნეობა? ზოგს მანდატი არა აქვს, ზოგს პირადი საღრიცხვო ბარათი ზოგს...

— გავიდა 3 წუთი, დაჯექით...— მოუთმენლად წამოიყვირა ა. კ. კომიტეტის მდივანმა და ბრაზმორეულმა დააბრიალა თვალები.

— კმარა!.. სცადა თავმჯდომარემ მდივნის წინადადების დადასტურება, მაგრამ არ დააცალეს.

— ილაპარაკოს, თვითკრიტიკას ნუ ახშობთ,—მიაძახეს აქეთ-იქიდან.

და დავითი განაგრძობს კრიტიკას:

ზოგიერთ ჩვენს კომკავშირელს არა აქვს პირადი საღრიცხვო ბარათი, თავის დროზე და წესიერად არ იხდის საწევროს. ჩვენი კომიტეტის მდივანი არ იცნობს თავისი ორგანიზაციის წევრებს, არ იცის, რომელი კომკავშირელი როგორ მუშაობს, არის თუ არა იგი ავანგარდი! მან არ იცის და არც უნდა გაიგოს, როგორ ცხოვრობენ, როგორ შრომობენ და იზრდებიან ჩვენი კომკავშირელები, რა აწუხებთ მათ, რა დახმარება ესაჭიროებათ.

— აი! წუთი გავიდა, რაც ეგ ლაყბობს, გააჩუმეთ!—კვლავ აყვირდა კომიტეტის მდივანი.

თავმჯდომარე წამოდგა და კვლავ მოინდომა მდივნის „წინადადების" ცხოვრებაში გატარება:

— ამოიწურა დრო... დრო ამოიწურა, ამხანაგო...

— საკითხი არ ამოწურულა,—მიაძახეს აქეთ-იქიდან და მოითხოვეს მოკამათეს სიტყვა გაუგრძელოთ. დავითმა გააგრძელა შეუბრალებელი კრიტიკა.

— ჩვენთან ორგანიზაციაში 45 პროცენტი ქალები არიან. რას ვაკეთებთ ჩვენ საკ. კ.კ.(ბ) კ-ის მეთერთმეტე პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის? როგორ გავშალეთ მუშაობა ქალთა შორის? გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვთვლემთ, ვიზმორებით, გულზე ხელდაკრეფილნი ველოდებით დირექტივებს, ალბათ სიღნაღიდან, ა. კ. რაიკომიდან.

— ჩვენ წავიკითხეთ ამხ. კოსარევის წერილი კომკავშირული კრების შესახებ. წავიკითხეთ და მივიღეთ ღონისძიებანი. მაგრამ ვატარებთ ცხოვრებაში ამ ღონისძიებებს!? ავიღოთ თუნდაც დღევანდელი კრება. განსხვავდება იგი რითიმე ძველი კრებისაგან? უწინაც და ახლაც მოუმზადებლად ვიწვევთ კრებებს, დასაჯდომი ადგილებიც კი არ გვყოფნის...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, დავითს, მაგრამ ამ დროს უკანა რიგებში სკამზე გადებული ფიცარი ჩატყდა და ზედ მსხდომი კომკავშირელები იატაკზე დაცვივდნენ.

— სიჩუმე მანდ, წესრიგს ნუ არღვევთ,—დაიყვირა თავმჯდომარემ და ამაყად გადახედა კომკავშირის კომიტეტის მდივანს, რომელიც გაცეცხლებული წამოვარდნილიყო ფეხზე და მომხდარ „კატასტროფის" ადგილს ანთებული თვალებით ათვალიერებდა.

— შენი პატრონის...—გაისმა ხმამაღალი შეგინება და ტკაცანი მეორე მხარეს. გიგო მკერვალიძე ჩვეულებრივ ხვარულ პოზაში იდგა, მუშტი მოემარჯვებინა და მისი ერთი გარტყმისაგან დარეტიანებულის გონზე მოსვლას ელოდებოდა, რომ მეორეც მიეყოლებინა...

მიუხედავად ამისა, მოკამათე დავითმა განაგრძო თავისი სიტყვა, უფრო ხმამაღლა და ენერგიულად.

— აი, ამხანაგებო, ჩვენს კომკავშირის ორგანიზაციაში კიდევ გვყავან ისეთი კომკავშირელები, რომლებიც ხულიგნობენ, დებოშს ახდენენ. ჩვენ არ ვზრუნავთ გიგო მკერვალიძისთანა შეუგნებელ კომკავშირელთა გამოსწორებაზე...

ვეღარ დაამთავრა დავითმა სიტყვა, რომ სახეში გაშლილი ხუთი თითი გამეტებით მოხვდა და იქვე ადგილზევე ჩაჯდა.

კამათი დამთავრდა...

კრიტიკა დაჰფარა გიგო მკერვალიძის ხულიგნურმა მოქმედებამ. გაბედულ კრიტიკოსის სახეზე გიგო მკერვალიძის ხუთი თითის ნაკვალევი წითლად აღიბეჭდა.

აღშფოთებული დამსწრენი თავმჯდომარის ჩახლეჩილმა ხმამ დააშვიდა: ამხანაგებო, საჭიროა კრების დასასრულს მივიღოთ პრაქტიკული ღონისძიებანი. შემოსულია წინადადება მდგომარეობის გამოსწორებისათვის სათანადო ღონისძიებათა გამოსამუშავებლად გამოიყოს კომისია 3 კაცის შემადგენლობით, კომისიის ხელმძღვანელობა დაევალოს კომიტეტის მდივანს, კომისიამ თავისი ღონისძიებანი წარმოგვიდგინოს მორიგ კრებაზე"...

— ვინ არის მომხრე? იკითხა თავმჯდომარემ და თვითონ ასწია თითი გაბედულად. ასწია თითი კომკავშირის კომიტეტის მდივანმაც. დარბაზში კი სიჩუმეა. მაშასადამე, ყველა მომხრეა, „სიჩუმე თანხმობის ნიშანია" გაიფიქრა თავმჯდომარემ და გაბედულად შეეკითხა კრებას:

— ვინ არის წინააღმდეგი?..

— ყველამ თითი ასწია, ყველა წინააღმდეგია! — წაიღუღუნა მან ისარნაკრავივით.

იმედგაცრუებული თავმჯდომარე მოწყვეტით დაეშვა სკამზე. დიახ, იგი მიხვდა, რომ კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ამგვარად გაგრძელების წინააღმდეგია ყველა, ყველა, ყველა.

ჩვენ გვაინტერესებს, იცის თუ არა ყოველივე ეს ზემოქედის კოლმეურნეობასთან არსებულმა პარტიულმა კომიტეტმა? იცის თუ არა რომ ამის მსგავსი რამ მხოლოდ თუ მოიპოვება მთელს ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციაში? თუ იცის, არის თუ არა ის წინააღმდეგი კომკავშირული მუშაობის ამგვარად გაგრძელებისა?

რატომ არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით, რატომ არ ზრუნავს კომკავშირული მუშაობის გაჯანსაღებისათვის? მით უმეტეს, რომ ა. კ. სიღნაღის რაიკომს ალბად დაავიწყდა ზემოქედის კომკავშირი.

ალ. გვინჩიძე.

წელს ამხ. ტ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ყურძნის დიდ მოსავალს მიიღებს. საუკეთესოდ მოვლილი ვაზები, ლამაზად გამოიყურება ქარვასავით ყვითელი ყურძნით დატვირთული.

სურათზე: კოლმეურნეობის საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნე კომკავშირელი ამხ. მიტო დეკანოსიძე ვაზთან.

წერილები ადგილებიდან

სამკითხველო ცუდად მუშაობს

(კოლმეურნის წერილი)

ძველ სენაკში (ცხაკაიას რაიონი) სამკითხველოს გამგედ არის ქ. ჯაკობია, რომელიც სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს სამკითხველოსთან არსებულ სხვადასხვა წრეების მუშაობას.

სამკითხველოში ჟურნალ-გაზეთებს თითქმის ვერ ნახავთ; რაც მოდის, სასადილოს გამგეები ინაწილებენ. რადიო-აპარატი დიდი ხანია სდუმს, მაგრამ ვინ არის შემკეთებელი?

სამკითხველოს შენობის სახურავში წვიმა თავისუფლად ჩამოდის, ფანჯრები ჩამტვრეულია, იატაკი აყრილია და სხვ. მაგრამ ვინ არის პატრონი? შეკეთებაზე არავინ ზრუნავს.

ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებამ უნდა მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მირიანე კუპრეიშვილი.

პამიდორი ლპება

ხარაიონთაშორისო დამზადების კომიტეტის ნატახტარის პუნქტს კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეობები აბარებენ პამიდორს, შინდს, კომბოსტოს, ვაშლს და სხვა პროდუქტებს.

გამგეით ნატახტარში და ყველგან გაიგონებთ საბარაოდ უკმაყოფილებას პამიდორის ჩაწყობის შესახებ.

— მართალია პუნქტში ჩაბარებით ვალდებულებას ვხდით, მაგრამ გული გვტკივა, რომ ჩვენს მიერ მოყვანილი პამიდორი ალპებენ—აცხადებენ კოლმეურნეები.

...და მართლაც ნახავთ პუნქტს და აღმოჩნდებით მიდამოში. აქ პამიდორი გორად არის დაყრილი, უპატრონობის გამო პამიდორი ლპება, დერეფანში მიწაზე დაყრილია.

— ტრანსპორტი ძალიან გვიანობს, არც ტარა გვაქვს საკმაო—ჩივიან პუნქტის მომუშავენი.

პამიდორი საწყობშიც და გარეთ ეწყობა, წვენი გახდის, ლპება.

გარდა ამისა მესამე დღეა 60 ყუთში ჩაწყობილი პამიდორი ტრანსპორტს უცდის, მაგრამ ამაოდ. პამიდორის ყუთებში ეკიდება და ლპება.

გარდა ამისა ჩამბარებლებს დროზე ვერ უსწორებენ ანგარიშს. 9 სექტემბრისათვის პუნქტს დავალიანება 8,000 მანეთს შეადგენდა.

საჭიროა ამ საქმეში დამამზადებელ ორგანოების სასწრაფოდ ჩარევა და პამიდორის გადაგზავნა დანიშნულებამდე.

ვ. მ.

გამოუქვეყნებელ წერილების კვალდაკვალ

„მოხსნის ღირსია"

პირველ ივნისს რედაქციამ მიიღო წერილი სათაურით: „მოხსნის ღირსია". იგი შეეხებოდა „საქკვებრობის". სენაკის რაიგანყოფილების № 1 მაღაზიის გამგეს აბრამ ჯვართავას, რომელსაც ბრალად ედებოდა ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯება და მომხმარებლებისადმი უდიერი მოპყრობა.

სენაკის რაიპროკურორი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ა. ჯვართავა მიცემულია პასუხისგებაში.

„პასუხი უნდა აგოს"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი გვაცნობებდა, რომ სოფ. ჭალის (მახარაძის რაიონი) მეხორცე დავით გოგიტიძე სისტემატიურად ლოთობს და ხულიგნობსო.

მახარაძის რაიპროკურორი ამხ. გობრონიძე, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. დ. გოგიტიძე მიცემულია პასუხისგებაში.

შალვა აფხაიძე

ყვავილები მოკისკასე ბუნებაში

იშვიათი ადამიანია ძია საშა. გულახდილობა სჯობია: შემშურდა მისი მდგომარეობა, პროფესია, საქმიანობა.

და მის მდგომარეობას მეტ შუქს ფენს ის გარემოება, რომ მას ბავშვთა სამყაროსთან აქვს კავშირი, რომ ის ნორჩი ყვავილის არომატით სუნთქავს, ცოცხლობს. მართლაც რომ ბავშვების სამყაროთი საზრდოობს, მათი გულის ძგერა კარგად ესმის, მათი ინტერესებით გამსჭვალულია, მათზე ზრუნავს, მათ მეთვალყურეობს.

დაუღალავი აღმზრდელი —ექიმია ძია საშა.

ამ სახელით მონათლეს იგი აქ ბავშვებმა. ასე ეძახიან დიდებიც.

ძია საშა, დღეს არ შეიძლება, რომ სიცხე არ გაგვიზომოთ?

— ძია საშა, დღეს ასი გრამით მოვიმატე.

— ძია საშა, უთხარი რამე ლელიკოს, ნუ მაჯავრებს.

და ისიც მთელი დღე განუშორებლად ბავშვებს შორის არის, უსმენს, არიგებს, ფხიზელ თვალყურს ადევნებს მათ ჯანმრთელობას, მათ ფიზიკურ და სულიერ საზრდოს.

პატარა ცემი.

რამ მისცა ამდენი სიუხვე და ასე სქელი ფერები ამ ბუნებას, ვეება ნაძვისა და ფიჭვის ტოტები სანთლებივით ანთებულან მთიან მზის სხივებით, გაშლილან; მზის სხივები ფისს უხვად სწურავენ და ჰაერს სასიცოცხლო სუნით აბრუებენ.

თვალს მაღალი, მდუმარე და მუდამ მწვანით შეღებილი მთები ავსებენ, გულს განუმეორებელი სილამაზით შემკული ბუნება ალხენს, ფილტვებს მთის უწმინდესი, ნაძვნარიან და ფიჭვნარით მონაბერი სიო უხვად ასაზრდოებს, მკერდი თავისუფლად იშლება; დახარბებით სუნთქავ, წყალივით სვამ ჰაერს სული თავისით მღერის, ხარ მოხიბლული და ენა დაბმული ამ სიდიადით.

საქართველოს ჭერი.

მაღალი და ნედლი. და რაც უფრო მიიწევ ზევით, მით უფრო მრავალფეროვდება გარემო, მატულობს ბუნების სიქალწულე, თითქოს არც უცვლია სახე ამ მთის მკერდებს მას შემდეგ, რაც მიწა გაციევდა, ნოყიერი ქერქით დაიფარა და ფიჭვ-ნაძვნარით ამწვანდა.

ეს მთები აზიდულან გარშემო ზღაპრულ ურჩხულებივით. მთები, მზეში რომ ელვარებენ, საამოდ სუნთქავენ, ხოლო ნისლში შუბლს რომ შეიკრავენ, ქუხილით აყეფდებიან.

ამ მთებს შუა გაშლილა ფართო მოედანი, სწორი, მობიბინე — ბალახით, დაგვირგვინებული — ველის ფერადი ყვავილებით, გვირილათი. ვერ ჩამოეშვება ამ მოედანზე ყველაზე უფრო ველური სტიქია —ქარიშხალი მთისა და ზავთი. მთები მედგარი და უტეხი დარაჯები არიან.

ამ მოედანზეა გაშენებული საბავშვო სანატორიუმი — პატარა ცემი, ყოველწლიურად ას ოცი ბავშვის (ყოველ ცვლაში) ჟივილ-ხივილი, კისკისი, გულითადი სიცილი შეაკრთობს ამ მთების სიამაყეს, მიუკარებლობას, მოეფინება მათ ფერდობს და თვალუწვდენელ ხევებში ნაკადებით ჩაებმება.

ას ოცი ბავშვია მოთავსებული წელსაც ამ სანატორიუმში თვენახევრით, რომ დაისვენონ, იცელქონ მზის უხვი სხივებით სავსე ჰაერზე, მისცენ გაძლიერებული საზრდო თავიანთ ორგანიზმს, სულს, და გაჯანსაღებულნი, შეკეთებულნი, და დასვენებულნი დაუბრუნდნენ თავიანთ სკოლებს.

და როგორ არ უნდა გაჯანსაღდნენ, როგორ არ უნდა გაიუმჯობესონ ჯანმრთელობა, როცა დღეში ექვსჯერ იღებენ საზრდოს.

რეჟიმი.

აი, აქ უკვე სანატორიუმის მთავარი ექიმის, დირექტორის — ძია საშას ენერგია ბრძანებლობს.

სანატორიუმს თავისი მტკიცე რეჟიმი აქვს შემუშავებული. გაბედავს და დაარღვევს ვინმე ამ რეჟიმს. ძია საშა სავსეა ალერსით, მაგრამ თუ რეჟიმი დაირღვა — ვეღარ იცნობთ. მაღალი ნოტებიც კარგად ეხერხება; უდისციპლინობას ვერ იტანს. დისონანსის შემტანს დამაჯერებელი დარიგება — დისციპლინის დამრღვევს —დატუქსვა: სამართლიანი, საჭირო, საქმის სიყვარულით გამოწვეული. ამიტომ უყვართ ასე ძია საშა, ამიტომ შეფრქვევით უხვევიან ბავშვები, პატივს სცემენ თანამშრომლები.

აი, დღემ თვალი გაახილა. დილის ექვსი საათია. ტყის სიჩუმე ჩიტების ხალისიანმა ჟივილმა დაარღვია. და ბავშვებიც ზეზე არიან, ხელპირს იბანენ, სიცხეს იზომავენ, იწონიან, ვარჯიშობენ, აბაზანებს იღებენ; სისუფთავე აქ პირველი მცნებაა. შემდეგ დილის პორციონის მიღება, და მთელი დღე სხვა და სხვა გასართობით, ვარჯიშით, სწავლით ივსება.

ჰარმონიულად არის შეხამებული ერთმანეთთან ფიზიკური ვარჯიშობა, გართობა სულიერ ვარჯიშთან.

⁂

მატარებლის შეკივლაზე ბავშვები ერთი აურ-ზაურით მოიჯრის მოასკდნენ. დასასვენებელი დღეა. მშობლებს, ახლობლებს მოელიან. ხვევნა, კოცნა, ალერსი, გამოკითხვები და ისმის ზარი. ბავშვებს საუზმისაკენ მოუწოდებენ. ვისაც ახლავს მშობლები, ჩიტებივით მიფრენენ სასადილოსაკენ.

საუზმე გათავდა და მოედანი ბავშვებით აყვავილდა. საზეიმო დღეა სანატორიუმს გადაწყვეტილი აქვს თავისი შემოქმედებითი მუშაობის გამოფენა. სახუმარო საქმე როდია. დასვენება —არაუქმი, უშინაარსო, არამედ ხალისით გამდიდრებული, გაუხვებული, ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების გამხსნელი. და მართლაც რა და რა წრეები არ არის შექმნილი: მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ლიტერატურული და სხვადასხვა. ყოველ მათგანს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს — 10-12 წლის. და გატაცებით, ხალისით მუშაობენ წრეები. აი ამ მუშაობის ჩვენება სურთ ახლაც. სანატორიუმი თვითშემოქმედებით დილას მართავს. ეს ასე ვთქვათ რეპეტიციაა იმ სალამოსი, რომელიც 5-6 საათზე უნდა მოეწყოს.

ორი საათი იქნება. სანატორიუმის ნორჩი მკვიდრნი იკრიბებიან სტუმრებთან ერთად. სტუმართა შორის არის სილვა თოდრია, რომელიც დაწვრილებით ეცნობა სანატორიუმის ცხოვრებას. ლია სცენაა. აქვე არიან დილის მონაწილენი 10-12 წლის ბავშვები — მხიარული, გაბრწყინვებული თვალებით, მზით დამწვარ სახეებით. თავიანთ ხელმძღვანელს, საყვარელ ბიცოლა ფლორას (ალექსანდროვა) შემოხვევიან. ეს ბიცოლა ფლორაა, რომ არ ზოგავს ენერგიას, გულისყურს და ეს რამდენიმე წელია ბავშვების აღზრდას ახმარს. ამიტომ ბავშვებიც ღირსეულად ასაჩუქრებენ —მთის მზის სხივებით წმინდა და ახალი სიყვარულით. ბიცოლა ფლორას გვერდს უმშვენებს სუხიშვილის ქალი. მთელი დღე ბავშვებზე ზრუნვით არის სავსე მისთვის.

დილა დაიწყო. საზოგადოებას ბავშვები და მოსული სტუმრები შეადგენენ. თვითშემოქმედების წრეებს თავისი კონფერანსიე ჰყავს — 10 წლის გუსტავ აიზენბერგი. და როგორი კონფერანსიე! გაწრთვნილი, გამბრძმედილი. იცის, როგორ წაიყვანოს წრეების გამოსვლები. დილას შესავალი სიტყვით ხსნის, მტკიცედ და მოხერხებულად ლაპარაკობს 10 წლის ორატორი.

— დროს ხალისიანათ ვატარებთ. და სადა გვაქვს დრო მოწყენისათვის. მთელი დღე სხვადასხვა საქმეებით ვართ დატვირთული და იქვე ხსნის რა საქმეებია ეს. იცის ვისი წყალობით არის მოწყობილი ასე კარგად მათი დასვენება, ვინ არის, რომ ასე ზრუნავს მათზე — მომავალ თაობაზე: ეს საბჭოთა ხელისუფლებაა, დიადი ბოლშევიკური პარტიაა, დიდი ბელადი სტალინია. გზადაგზა სხარტად და გარკვევით ახასიათებს ღარიბთა ბავშვების მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში. ერთი სიტყვით ლაპარაკობს ვით შეშვენის ბედნიერი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს. არ ივიწყებს მათი დასვენებისა და ჯანმრთელობის ორგანიზატორს სანატორიუმში და ძია საშას გამარჯვებას უსურვებს. სიტყვას პაწაწკინა ხელისგულებიდან გადმოფრენილი ტაში ფარავს და დილაც იწყება.

— თავის ნაწარმოებს როიალზე შეასრულებს მელიტა აფხაიძე — რიხით აცხადებს კონფერანსიე. და პატარა თითებს კლავიშებზე ხალისიანი რამ საბავშო საცეკვაო გამოჰყავს, ტაშით აჯილდოვებს პატარების აუდიტორია სანატორიუმის ამ პაწია კომპოზიტორს.

— ახლა იცეკვებს ნინელი საააკოვა —განაგრძობს გუსტავ აიზენბერგი. და წრის შუაგულში მარდად გაემართება ასე 7—8 წლის შავგვრემანი, ჩაპუნტუშებული გოგონა, შავი აზრიანი თვალებით. ცეკვავს, რა მოხდენილად, რა ლაზათით. მას მოჰყვება პატარა გივი ბერიძე. ისიც ცოცხლად, მანიპულიაციებით. ერთი მეორეზე იკითხება ლექსები: ქართულ, რუსულ, სომხურ და გერმანულ ენებზე: ენერგიით, გააზრებით, ინსცენირებით. შემდეგ კოლექტიური ცეკვა და სხვადასხვა ფიზკულტურული ფიგურები. ამის დირიჟორი უკვე ძია დათიკოა (გელაძე). ისიც მთელი დღე ბავშვებს შორის დატრიალებს, მათ ავარჯიშებს.

მაგრამ დილის გვირგვინს სულ სხვა, რამ წარმოადგენს. ეშმაკ კონფერანსიეს იგი ეფექტისათვის აქვს შემონახული.,

— ჩვენ, ბიცოლა ფლორას ხელმძღვანელობით საკუთარი ჯაზი მოვაწყვეთ. ახლა თქვენ გაგაცნობთ ამ ჯაზის მუშაობას. ჯაზს დირიჟორობს ცნობილი გიზო ამირაჯიბი — აცხადებს კონფერანსიე და დარბაზს ფრთაგამოსხმული ტაში ავსებს.

სკამზე პატარა დირიჟორი აჰყავთ. ორკესტრის მონაწილენი ინსტრუმენტებით იარაღდებიან. ბიცოლა ფლორა ტონს იძლევა და დირიჟორის შემამზადებელი კაკუნი ისმის. პატარა ხელები გაიელვებენ და ორკესტრიც ამღერდება. და როგორ დირიჟორობს გიზო! რა რიტმისა და ჰარმონიის გრძნობაა მის ხელში!

ჩემი მეზობლის თვალებში კურცხალი აკიაფდა. ალბად თავის ბავშვობას — უხალისოს, მძიმეს — თუ შეადარა მან ამ უბედნიერესი თაობის ბედი, სოციალიზმის ამ ხალისიანი თაობის, ბედი, შუქმოსილი, მრავალ თაობათა ოცნების ხორცსხმულობის, გასხივოსნებულ აწმყოსა და პერსპექტივის მქონე, მესამე თაობის ბედი.

შეადარა და ხალისიანი ცრემლებით დაისველა უპეები. დილა დასრულდა. ისევ თამაში და სხვა გართობანი. და მათ შორის ყველა შესანიშნავი, გამოსარჩევი. მოზრდილი წრეა: შუაში ახალგაზრდა ქალიშვილი ჩამჯდარა და რაღაც გმირულს ჰყვება ჩვენი ცხოვრებიდან; ჰყვება და ბავშვები სმენად გადაქცეულან. ეს სანატორიუმთან მიმაგრებული პიონერ-ხელმძღვანელია, ახალგაზრდა სანდომიანი სახის ცეცხლაძე. საპატიო საქმე აქვს მინდობილი და ისიც ღირსეულად ასრულებს.

საღამოს ზარმა დაჰკრა. ბავშვები ოთხკუთხივ ჩამწკრივდნენ.

— დღის შინაარსი მომახსენეთ — ისმის ძია საშას ძახილი. წინ ახალგაზრდა გამოდის. რგოლის ხელმძღვანელი, — დღის მორიგე, ძია საშას პატაკს. აძლევს. ძია საშაც დაწვრილებით ეცნობა ვინ რა ჩაიდინა, ვინ რა გააკეთა და შესაფერ განკარგულებებს იძლევა.

ერთი რგოლი (სულ პატარების) დასაბანად და შემდეგ დასაძინებლად მიდის. სხვები მოლოდინში თავს ირთობენ: ვინ სახლს აგებს (პატარა ინჟინერია), ვინ შაშს თამაშობს, ვინ როიალზე უკრავს, ცეკვავს, ვინ პიონერხელმძღვანელს შემოხვევია და მის კითხვას ისმენს, ვინ ჭადრაკს თამაშობს. დაწესებული დროც გადის.

— ახალგაზრდა ჭადრაკოსნებო,— მორჩით — ეძახის ძია საშა.

— ერცახე, გვაცალე, აი ამ წუთში — ემუდარებიან პატარები. და საჭადრაკო დაფის ველზე სხვადასხვა ფიგურებს დააქროლებენ.

დრო მიდის, ერთმანეთს არ ნებდებიან. ფიგურების ქროლვაში ორი ახალგაზრდას ნებისყოფა, უნარი, ერთმანეთს ებრძვის.

— დისციპლინას ნუ მირღვევთ — უმატებს ხმას ძია საშა და სანატორიუმის დღეც სრულდება. ძია საშას მოსვენების დრო დგება, საშა ყანჩელის — მთავარი ექიმისა და დირექტორის.

ასეთი სტალინური მზრუნველობით და ბავშვების მოვლით მიდის დღე პატარა ცემში. ასე მიდის დღე სხვა სანატორიუმებშიც. ასე ზრუნავს და თავს ევლება ახალ თაობას, ახალ გაზრდობას, საბჭოთა ხელისუფლება, სოციალიზმის მშენებელი კლასი, პარტია, ჩვენი დიადი სტალინი.

სასკოლო ბაზრობის პირველი დღე

პატარა მყიდველებით გაივსო მაღაზიები

საქვაჭრობამ 8 მაღაზიაში გახსნა სასკოლო ბაზრობა. ბაზრობისათვის მომზადებული იყო 400 ათასი მანეთის საბავშვო ასორტიმენტის საქონელი. დილიდანვე მაღაზიები გაივსო პატარა მყიდველებით. ყველაზე გაცხოველებული ვაჭრობაა ფეხსაცმლის და სამანუფაქტურო განყოფილებებში.

საქვაჭრობის ველაბრის უნივერსალურ მაღაზიას, რომელმაც ფართოდ აუწყა მოსახლეობას სასკოლო ბაზრობის გახსნა, დიდძალი მყიდველი მიაწყდა. ფეხსაცმელს და მანუფაქტურას მაღაზია სასკოლო მოწმობებზე აძლევს.

საქვაჭრობის კულტმაღაზიებში მოიპოვება დიდძალი საბავშვო სათამაშოები, სამუსიკო ინსტრუმენტები და სასწავლო ნივთები.

დიდი მოთხოვნილებაა საბავშვო ჩანთებზე, რომლებიც ღირს 4 მან. და 85 კაპ., რვეულებზე — 5 კაპ. ცალი, კალმებზე, ფანქრებზე და სხვ.

„ვერ მოასწრეს" საწყობებიდან საქონლის გადატანა

ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირი მოუმზადებელი შეხვდა სასკოლო ბაზრობის გახსნას. ტ. ს. ო. კ-ის მაღაზიებს ბაზრობის პირველ დღეს საკმაო ასორტიმენტის საბავშვო საქონელი არ ჰქონდათ. მაღაზიების უმრავლესობამ ვერ გამოიჩინა უნარი, წინასწარ გადმოეზიდნა საწყობებიდან საბავშვო საქონელი, მზა ტანსაცმელი, საცვლები, და სხვ.

სუსტად მოემზადნენ ტ. ს. ო. კ-ის კულტმაღაზიებიც. ბაზრობის პირველ დღეს კულტმაღაზიებში სრულებით არ იყო რვეულები. მხოლოდ ფეხსაცმლის სპეციალიზებული მაღაზია მოემზადა კარგად; მაღაზიაში ბლომად მოიპოვება ფეხსაცმელი ბავშვებისა და სტუდენტებისათვის.

სარეწაო კოოპერაცია სასკოლო ბაზრობაზე

საქ. სარეწაო კოოპერაციის მე-63, მე-58 და სხვა მაღაზიებმა სასკოლო ბაზრობაზე გამოიტანეს 20—25 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი: საზამთრო პალტოები სტუდენტებისა და მოზრდილ ბავშვებისათვის, ფეხსაცმლები, ჯემპრები, ტრიკოტაჟი. პალტო ღირს 134 მანეთი, ფეხსაცმლები 28—40 მანეთამდე, ჯემპრი 26 მანეთი.

სარეწაო კოოპერაციის მაღაზიებში უმცროსი ასაკის მოწაფეთათვის მზატანსაცმლის და საცვლების დიდი ნაკლებობაა. სუსტად არის წარმოდგენილი სათამაშოების განყოფილებაც, მიუხედავად იმისა, რომ სარეწაო კოოპერაციას საბავშვო სათამაშოების სახელოსნო აქვს.

საჭირო საქონლის ნაცვლად ანშლაგები

ნაძალადევის ტფილისის მაღაზიები სასკოლო ბაზრობის გახსნის დღეს ჩვეულებრივად ვაჭრობდნენ ფანქრებით, კალმებით, გრიფელის დაფებით და სხვა სასწავლო ნივთებით. მაღაზიებში სრულებით არ იყო რვეულები, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა.

⁂

სასკოლო ბაზრობა ბათომში

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, 10-დან 25 სექტემბრამდე ბათომში მიმდინარეობს სასკოლო ბაზრობა.

ბაზრობაში მონაწილეობას იღებს 9 სავაჭრო წერტი. სკოლებში მეცადინეობის დაწყებიდან (15 სექტემბრიდან), დამატებით მოეწყობა მოძრავი ავტო-მაღაზია.

ბაზრობაზე გამოიტანენ 192.000 მანეთის საქონელს, უმთავრესად საბავშვო თეთრეულს, ფეხსაცმელებს, კალოშებს, სასკოლო საქონელს, სათამაშოებს და სხვ.

მარტო სახელგამს ბაზრობაზე გამოაქვს 70.000 მანეთის სასკოლო საქონელი. (საქ. კორ.)

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ა.-კ. ფილიალის შენობა



ტფილისის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე, ალიმართა უდიდესი შენობა ა.-კავკასიაში—მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ა.-კ. ფილიალის სახლი. შენობის პროექტი შესრულებულია არქიტექტურის აკადემიკოსის ამხ. ა. ვ. შჩუსევის მიერ. შენობის დეტალებს არქიტექტურულად ამუშავებს „ზაკსტროის" საარქიტექტურო სახელოსნო პროფესორ ნ. პ. სევეროვის ხელმძღვანელობით.

მთავარი ფასადის ცენტრში რუსთაველის პროსპექტისაკენ ალიმართება კურსების გრანიტისგან გაკეთებული 17 მეტრის სიმაღლის ათი გაპრიალებული სვეტის კოლონადა. კოლონადა მოქცეულია პერპენდიკულარული კორპუსების ყრუ ტორსებს შორის და გადახურულია მასიური ანტაბლემენტითა და ატიკით.

მთავარი ფასადის ცოკოლი (ზეძირკველი) მოპირკეთებული იქნება კურსების რუხი გაპრიალებული გრანიტით. ფასადის კედლის მთელი პერიმეტრი, ზეძირკვლის ზევით, მოპირკეთებული იქნება ლუქსემბურგის რაიონის სოფელ ბოლნისის წითელ - მიხაკისფერსახიანი ნატურალური ყვითელი ქვით. მთავარი ფასადის გვერდებზე ფრთების ტორსებზე გამოყოფილია კედლების ნაწილები დიდი სკულპტურული ბარელიეფებისათვის, თითო 30 კვადრატული მეტრი.

ამ ორ ბარელიეფს ამზადებს სახალხო მოქანდაკე ი. ი. ნიკოლაძე, ქუთაისის თეთრი ქვისაგან.

მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის ა. კ. ფილიალი პარტიული სამეცნიერო - საკვლევო დაწესებულება იქნება. მისი მუშაობის პროგრამაში შედის: 1. მარქს-ენგელს - ლენინ - სტალინის თხზულებათა გამოსაცემად მომზადება; 2. ა. კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის მეცნიერული დამუშავება, პარტისტორიული დოკუმენტებისა და მასალების შეგროვება, შესწავლა და გამოცემა. ფილიალი მეცნიერულად დაამუშავებს ამ.-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხებს, შეაგროვებს, შეისწავლის და გამოსცემს მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დოკუმენტებსა და მასალებს.

ფილიალის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმობა საქართველოს და ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებლისა და ორგანიზატორის, მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესწავლას იმ პერიოდში, როდესაც იგი ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მუშაობდა.

ფილიალის მიმდინარე სამუშაოთა პროგრამაში შედის მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის მოძღვრების მასობრივი პროპაგანდა (მოხსენებანი, ლექციები ცალკეულ საკითხებზე).

ამ ამოცანების შესაბამისად მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის ა.-კავკასიის ფილიალში მოეწყობა შემდეგი სექციები: მარქს-ენგელს - ლენინ - სტალინის თხზულებათა თარგმნის სექცია, ა.-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სექცია, ა.-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის სექცია, ამხ. სტალინის სექცია.

ამ სექციებს გარდა ინსტიტუტის ფილიალთან მოწყობილი იქნება პარტიული არქივი, რევოლუციის მუზეუმი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საგამომცემლო ნაწილი, ადმინისტრატიულ - სამეურნეო ნაწილი.

ინსტიტუტის მუშაობის ვრცელი პროგრამის შესაბამისად ახალ შენობაში მოწყობილი იქნება დიდი არქივი, ბიბლიოთეკა, დარბაზები, სამეცნიერო მუშაობისათვის, აუდიტორია 500 კაცისათვის და ორი პატარა აუდიტორია, მუზეუმი, ადმინისტრატიული და სამეურნეო სადგომები.

მორთულობის მხრივ მთელი შენობა იყოფა 5 კატეგორიად (კლასად). პირველ კლასს მიეკუთვნება: მთავარი ვესტიბიული, ორი საპარადო კიბე, აუდიტორია 500 კაცისათვის, ფოიე აუდიტორიასთან, საკონფერენციო დარბაზები, მუზეუმის დარბაზები. ეს ნაწილები სპეციალური ნახატების მიხედვით მოირთვება.

ყველაზე მდიდრულად მორთული იქნება მთავარი ვესტიბიული; თეთრი და წითელი მარმარილოს ფილისა და კონგლომერატის იატაკები, მთელ სიმაღლეზე ხელოვნური მარმარილოთი შემოპირული სვეტები და კედლები, წაბლის ხის მთავარი კარი, რომელიც სპეციალური ნახატის მიხედვით კეთდება — ყოველივე ეს დიდად დაამშვენებს ინსტიტუტის შესასვლელს.

500 კაცისათვის გათვალისწინებულ აუდიტორიას ხელოვნური მარმარილოს კედლები ექნება რთული არქიტექტურული გაფორმებით.

მუზეუმის დარბაზები მოთავსებული იქნება 5 სართულზე, ერთი მეტრის ზემოთ. თვითეული დარბაზის მორთულობა სხვადასხვანაირი იქნება დეკორატიული მოტივების მხრივ, მაგრამ მორთვის ხერხი საერთო დარჩება.

მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის მშენებლობის დამთავრება 1936 წლის ოქტომბრის ზეიმისათვის არის ნავარაუდევი. ამჟამად შენობა სახურავამდეა აყვანილი. გარეთა კედლები მოპირკეთებულია მეხუთე სართულამდე. შენობის შიგნით ხდება შელესვა და ლიფტების ჩადგმა. კანალიზაცია და წყალსადენის სამუშაოები 90 პროცენტით დამთავრებულია, ამჟამად მუშაობა სათბობი მილების გასაყვანად და მოწყობილობის ჩასადგმელად.

მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის შენობისთვის სპეციალურად მოწყობილ ქვის სათლელსახეხ საამქროში მუშაობს ორ ცვლად 18 სახეხი და 2 დიდი ქვის სახერხი ჩარხი, რომლებითაც ხეხავენ და აპრიალებენ სვეტების მოსაპირკეთებელ გრანიტს.

დეპუტატების საანგარიშო კამპანიისათვის

პირველ სექტემბრიდან დაიწყო თბილისის საბჭოს დეპუტატთა საანგარიშო კამპანიისათვის მზადება.

საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ საანგარიშო კამპანიის ჩატარებისათვის პირველი საორგანიზაციო თათბირი 3 სექტემბერს გამართა. თათბირს ესწრებოდნენ რაისაბჭოების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, საქვეყრაიონო ჯგუფების მდივნები. თათბირზე შემუშავდა საანგარიშო კამპანიის კონკრეტული გეგმა.

8 სექტემბერს მოეწყო ტფილისის საბჭოს ყველა სექციის თავმჯდომარეთა საინსტრუქციო თათბირი ამ კამპანიის ჩატარებაში სექციების როლისა და ამოცანების საკითხებზე. სექციების თავმჯდომარეებს მიეცათ მითითება განიხილონ სექციების პლენუმებზე მოხსენებანი სექციების ბიუროების მუშაობის შესახებ; და შეიმუშაონ კონკრეტული სახელმძღვანელო ღონისძიებანი.

ამ საფუძველზე მოეწყო საბჭოების პლენუმები, სადაც მიღებულ იქნა დადგენილებები ტფილისის და რაისაბჭოების შემადგენლობიდან იმ წევრების გაყვანის შესახებ, რომლებმაც მართებულად ვერ შეასრულეს მათზე ამომრჩევლების მიერ დაკისრებული ამოცანები.

14 სექტემბერს იწყობა ერთიანი საბჭოთა დღე; განხილული იქნება საანგარიშო კამპანიის კონკრეტული საკითხები, ხოლო 17 სექტემბერს ეს საკითხი დამუშავდება საქვეყრაიონო ჯგუფებში.

დეპუტატთა საანგარიშო კამპანიისათვის მოსამზადებელი მუშაობა კარგად მიმდინარეობს **სტალინის, 26 კომუნარის და ლენინის** რაისაბჭოებში, სადაც აღადგინეს საანგარიშო მოხსენებების ჩასატარებელი პუნქტები და გამოყვეს კვალიფიციური მომხსენებლები.

ტფილისში, ბაირამოვის ქუჩაზე ააგეს სრული საშუალო სკოლის ახალი შენობა.
სურათზე: სკოლის შენობის ფასადი.

შემთხვევები

# **დაჭრა.** კალინინის აღმართზე, 15 წლის ა. მ. გერონტოვმა დანით დასჭრა ა. ა. ოვანესოვი (ფიოლეტოვის ქ. 10). ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

# **ქურდობა.** ტს.ო.კ-ის საჩვენებელ მაღაზიაში (კიროვის ქ. № 1), დააპატიმრეს ა. ნ. იაკოვლევა (სიბურთალო, საქ. სამხ. გზა № 42), როდესაც იგი აპირებდა დახლიდან მთელი რიგი საგალანტერიო საქონლის მოპარვას.

# **ტორგსინის** მაღაზიაში (თავისუფლების მოედანი), დააპატიმრეს ი. ს. ამეცაშვილი (ვარდისუბნის ქ. 45), რომელმაც სცადა ყალბი ქვითარით საქონლის მიღება.

# **ხანძარი.** საბჭოს ქუჩაზე № 17 სახლში ხანძარი გაჩნდა. დაიწვა მოქ. ს. პ. სოროკინის და ვ. ტ. მარცინკევიჩის ბინები, აგრეთვე ოთხი ფარდული, რომლებშიაც მოთავსებული იყო შინამრეწველთა სახელოსნოები.

# **მტაცებლები.** მუშაობის დამთავრების შემდეგ, შინ წასვლისას ფეხსაცმლების 1-ლ ფაბრიკაში შეიპყრეს ამავე ფაბრიკის მომარაგების განყოფილების გამგე ა. ს. ოლაბელოვი (ბოდბის შეს. 4), რომელსაც აღმოაჩნდა 7 კილო ნაქურდალი საძირე ტყავი. მისი ბინის გაჩხრეკისას აღმოაჩინეს აგრეთვე ფაბრიკიდან მოპარული დიდძალი ტყავი. გამოძიება სწარმოებს.

მწერალთა კავშირში

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სემინარის პირველი მეცადინეობა ამხ. ბერიას მოხსენების შესასწავლად.

13 სექტემბერს საღამოს 8 ს. მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) საქ. კპ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პარტპროპაგანდის, აგიტაციის და ბეჭდვითი სიტყვის განყ. გამგე ამხ. ე. ბედია. მწერალთა აქტივთან ჩაატარებს საუბარს ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შესახებ—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

მწერალთა კავშირის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საბჭოთა მწერლების შეხვედრა წითელარმიელებთან.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი 13 სექტემბერს საღამოს 6 ს. ავჭალაში აწყობს საბჭოთა მწერლების შეხვედრას წითელარმიელებთან. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები გ. ტაბიძე, ალ. მაშაშვილი, ნ. ზომლეთელი, გ. ქუჩიშვილი, ვ. გორგაძე, ირ. აბაშიძე, არ. ჩაჩიბაია, ვ. გაბესკირია.

ბ. ჟღენტი გააკეთებს მოხსენებას ქართულ ლიტერატურის შესახებ.

გასწორება

მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობის შესახებ საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კპ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების (იხ. „კომუნისტი" № 211, 10 სექტემბერი) მე-6 მუხლის პარაგრაფი ბ), არეულია უფროსი კორექტორის დაუდევრობით. ეს პარაგრაფი უნდა იკითხებოდეს ასე:

ბ) წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყონ მოსკოვ-ვოლგამშენისათვის საჭირო მოწყობილობისა და საშენი მასალების გამოყოფა, მისი სამუშაოების კალენდარულ-საწარმოო გეგმასთან შეფარდებით.

პარტკალენდარი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომი ვანმეორებით კატეგორიულ წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ პარტწევრ-კანდიდატებს დაუყოვნებლივ გამოცხადნენ პარტკომში.

არევაძე ივანე, ცისკარიშვილი ფორე, სუქნიძე გრიგოლ, სარალიძე ვასილ, ყუბანეიშვილი იოსებ, დანელია კოტე, არჩვაძე ნიკოლოზ, ბუაჩიძე ალექსანდრე, ჯოჯიშვილი მიხეილ, წიქარიშვილი სიმონ, ლომსაძე ნიკოლოზ, ბერიშვილი, ამირან, თევზაძე ვარლამ, ბებია ლავრენტი, ასათიანი გრიგოლ, სვანიძე აკვილინა. მაფორია მიხეილ, სამხარაძე ივანე, ნიორაძე ბესარიონ, კალაძე ალექსანდრე, ბარამიძე მარია, ტაბატაძე ვარლამ, კობერიძე თამარა, ჯალაღანია პოლიკარპე, კორკოტაშვილი მარია, ვარდიაშვილი, სამყურაშვილი სერგო, ესებუა თამარა, შონია ლეონტი, ზარქუა დოროთე, ჭყოიძე ვლადიმერ, სახარულიძე მოსე, მიქაძე გიორგი, კვესიაშვილი ილია, ჩხაიძე ილია, მენაბდე შურა, პირტახია ალექსანდრე, ტოფაძე სიმონ, გვენეტაძე ალექსანდრე, ყაჭიაური ილია, ფუტკარაძე ალექსანდრე, სილაგაძე ალექსანდრე, უზუნაშვილი ლევან, კოკოლაშვილი ვასილი, აბულაშვილი შაქრო, ხუბულაშვილი კოლია, ვერულაშვილი ვლადიმერ, ოთიაძე ელენე, აბაკელია ლავრენტი, ყანჩაველი ლევან, ბერიაშვილი ნიკო, სხირტლაძე ვანო, მაღლაქელიძე ვლადიმერ, კიკილეიშვილი ნიკოლოზ, ამაღველი ნიკოლოზ, ეგნატაშვილი ნიკოლოზ, ჩიტაშვილი ცია, როხაძე ვლადიმერ, ქართველიშვილი გიორგი, კოკოლაშვილი შალვა, ხმალაძე სოსო, ბერიაშვილი გოგო, ტასოევი დომენტი, ანასარიძე გრიგოლ, ლეჟავაძე აკაკი, თარხანოვი გიორგი, ჯავახიშვილი დიმიტრი, პრილომელი მოსე, ტუღუშვილი ლავრენტი, მიქაბაძე ივანე, სულიაშვილი სერაპიონ, ბეშიძე ვალიკო, მიქაძე გრიგოლ, მახარაძე დავით, დონაძე ვარდენ, იაკობაშვილი ნიკო, აბესაძე პეტრე, კილასონია შალვა, გახოშვილი ვლადიმერ, შუკაკიძე სევერიან, კავილაძე დავით, შუღლიაშვილი დავით, ლევერაშვილი რაჟდენ, მოსესოვი სურენ, ოჩიგავა მიხეილ, ხიბლაშვილი ვლადიმერ, თევდორაშვილი იოსებ, ბაძღუა გრიგოლ, ბაბილოძე ქსენია, ჯანჯღავა დავით, კოტრიკაძე ვლადიმერ, ელიზბაროვი გრიგორი, ცხოიძე იოსებ, გოგია დავით, კუპრაშვილი ვალერიან, ყორანაშვილი არჩილი, ჩოდრიშვილი იოსებ, ჯაში შუშანა, შეყრილაძე ვარლამ, კალანდია გერასიმე, კობახიძე ვლადიმერ, დოლიძე ვარლამ, გოდერიძე მარგალიტა, დამენია ნინა, ერისთავი ნინა, ჭკუასელი ვარლამი, უჩანეიშვილი რაჟდენ, სამყურაშვილი ბენია, შელიძე ალექსანდრე.

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომი.

⁂

სტამბა „კომუნისტი"-ს პარტკომი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. სევარიონ ხვორდონიძე ლუდუხიძეს და პარმენ ლავრენტიძე ბოკერიას სასწრაფოდ გამოცხადდნენ სტამბა „კომუნისტი"-ს პარტკომში.

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
1935—36 წლ. სეზონი.

დაიწყო სტუდიაში განცხადებების მიღება—მამაკაცების 18—25 წლ. და ქალების 16—23 წლამდე საშუალო განათლებით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. მეტრიკული ამონაწერი, 2. განათლების მოწმობა, 3. პასპორტი, 4. სამხედრო წიგნაკი, 5. სოციალური მდგომარეობის მოწმობა, 6. ჯანმრთელობის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული მოწმობა. მისაღები გამოცდები 24 და 30 სექტემბერს. განცხადებებს პირადად ღებულობს სტუდიის ადმ. ნაწილის გამგე დილის 8—4 საათამდე.
294 2-2 დირექცია.

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
1935—36 წლის სეზონი.

თეატრის მიერ გამოშვებულია სტუდენტთათვის შეღავათიანი აბონემენტები, 10 დადგმაზე დასწრების უფლებით.

სტუდენტთა უკეთ მომსახურების მიზნით წელს შემოღებულია აბონიმენტთა ახალი წესი სახელობითი სერიების სახით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თეატრის ადმინისტრაციაში და ადგილობრივ თეატრის რწმუნებულთა საშუალებით.
338 4—1 დირექცია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი
ამით აცხადებს, რომ შემოდგომის სემესტრში ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება მოეწყობა შემდეგ დარგებში:
1. თერაპიულში 4 თვიანი—1-ლ ოქტომბრიდან.
2. ქირურგიულში 4 თვიანი—1-ლ ოქტომბრიდან.
3. პედიატრიულში 4 თვიანი—1-ლ ოქტომბრიდან.
4. სანიტ. ეპიდ. 3 თვიანი—1-ლ ოქტომბრიდან.
5. ჯანგანის გამგეების—2 თვე—1-ლ ნოემბრიდან.
6. თვალის სნეულ.—3 თვე—1-ლ ნოემბრიდან.
7. ყელის, ყურის, ცხვირის სნეულ. 3 თვ.—1 ლ ნოემბრიდან.

ინსტიტუტში მივლინებული ექიმი მიიღებს სტიპენდიას ყოველ თვიურად 200 მანეთს და ბინას უფასოდ (ან ბინის ქირას 100 მან. თვეში) ადგილზე თავის ხელფასის შენახვით.

ჯანგანის გამგეები ვალდებული არიან 25/9-მდე შეატყობინონ ჯანსახკომს გადმოსაგზავნი ექიმების სია დარგის მიხედვით.
345 ჯანსახკომი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
თეატრის დირექცია 1935-36 წლის სეზონისათვის ახდენს
დასის თანამშრომელთა
მიღება-შერჩევას.
განცხადებები მიიღება თეატრის კანცელარიაში.
2—1 346 გამოცდები 18 სექტემბერს დილის 11 საათზე. დირექცია.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი
ამით აცხადებს კონკურსს შემდეგ კათედრებზე:
1) თერაპიული კლინიკა (პროფესორი), 2) ქირურგიული კლინიკა (პროფესორი), 3) პედიატრიული კლინიკა (პროფესორი), 4) სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკა (პროფესორი), 5) ზოგადი ჰიგიენა (პროფესორი), 6) ეპიდემიოლოგია (პროფესორი), 7) კურორტოლოგია (დოცენტი), 8) ფიზიატრია (დოცენტი), 9) სისხლის გადასხმა (დოცენტი), 10) ყელის, ყურის, ცხვირის სნ. (პროფესორი ან დოცენტი), 11) თვალის სნ. (დოცენტი), 12) დიამატი (დოცენტი).

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურიკულუმ ვიტეთი და დაბეჭდილი შრომებით ინსტიტუტის კანცელარიაში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 12) ა-წ. 20 სექტემბრამდე.
344 ინსტიტუტის დირექცია.

ოქტომბერი
6-30, 8-30, 10-30
დამკვრელი (საზ.-საზამთ.)
6-30, 8, 9-30, 11
ტემპი (საზაფ.) ხმოვანი
8, 9-30, 11
რ. ლიუქსემბურგის სახ.
5-30, 7-15, 9, 11
მ ო ს ე რ ი (საზაფხ.)
8-10, 9-45, 11-15
„26"-ის კომ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ.
(დიდუბეში). 9, 10-15

ხმოვანი ფილმი პეპო
სეანსის დასაწყისი დილის 12 საათზე
საზაფ.—ბედნიერი ახალგაზრდობა
საზამთ.—უ ნულის სახლი ხმოვ. ფილმი.
დადგმის მე 4-ხე კვირა
ხმოვანი სურათი გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით
პეპო დადგმა სომხ. სარ-კის დამსახურებულ ოფის ა. ბეკ-ნაზაროვისა.
მხატვრ. კომედია
რესპუბლიკის მემკვიდრე პრინცი
საზამთ.—ხმოვ. სურ. ო რ ი დ ღ ე
საზაფ.—მხატვრ. სურ. ფირმის საიდუმლოება
მ ც ღ ა რ ქ ვ ა ლ ზ ე 1-ლი სერია.

ამხ. სტალინის სახ. საქ. სას. სამ. უმაღლეს კომუნისტურ სკოლაში
მეცადინეობა დაიწყო ა-წ. 7 სექტემბერს.
ვინც არ გამოცხადდება 13 სექტემბრამდე— სკოლიდან გაირიცხება.
9428 რექტორი ერქომაიშვილი.

ვახტანგ კოტეტიშვილი შვილებით: ლეილათი, მანანათი და პატარა ვახუშტით აუწყებენ საზოგადოებას ცოლის და დედის
ნინო დიდევსკი-კოტეტიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება სექტემბრის 14. 5 ს. ობოლაძის ქ. (მთაწმინდის) № 7, დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 9426

გოგო კოტეტიშვილი დედით გლოვობენ უსაყვარლესი რძლის და უძვირფასესი ადამიანის
ნინო კოტეტიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. 9425

ცოლი მარუსია, შვილები: თამარი, მარგალიტა მარგველაშვილები, სიმამრი ვანო ცოლით და შვილიშვილებით ბატკოშვილები იუწყებიან
კლემენტი ერასტის-ძე
მარგველაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება რკინიგზის სახლი № 4. 12 სექტემბერს 5 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 9424

უახლოესი მეგობრები: გ. ჯალიძე, გაბინაშვილი, ბოკერია, ქარსანიშვილი, მ. კარიჭაშვილი, თურაზაშვილი, ქურდოვანიძე, ჯალიაშვილი, ვ. კოკნაძე, ტატიშვილი, ხუციშვილი, გელაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ სახბანკის გორის განყ-ების მმართველის
სერგო ვასილის-ძე ინასარიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 9427

მეუღლე კონსტანტინე, შვილები: დიმიტრი, ირა, რძალი ნინა, სიძე დიმიტრი ჩეხნოვი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს
მარო მეტაქსას
გარდაცვალებას. დასაფლავება ლენინგრადში. პანაშვიდი ტფილისში 12 სექტემბერს, 6 საათზე. 9429

მე-6 ქართულ მსროლელ ლეგიონის მეთაურთა შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ლეგიონის ასეულის მეთაურ ამხ. ნიკოლოზ ვვენცაძის მეუღლის
ელენე ისმაილის-ასულ ვვენცაძის
უდროოდ დაკარგვის გამო. 9423

მისამართები. რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 14, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, სამეურნეობრივი განყოფილების 3—73—24, პარტ. მშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.
სტამბა „კომუნისტი" 1. მთავლიტის რწმუნებული 8505